ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 5 ნოემბერი, 2018 №262 (7807) ფასი: 60 თეთრი

რიტუალური მკვლელობა თუ უბედური შემთხვევა

გვ.6

რამ იმსხვერპლა 21 წლის ანა იოსებიძე

მამუკა ბახტაძეს გიორგი გახარია შეცვლის?

გვ.2

„დღეს არეულობა მხოლოდ ხელისუფლებას აწყობს“

„ოცნებაში“ ბევრად მეტი ნაციონალია, ვიდრე გაერთიანებულ ოპოზიციაში“

გვ.2

დიმიტრი ბიძინაშვილი: „როცა მურუსიძე და ზარდიაშვილი გვერდით გისხედან, 9 წელი სხვას არ უნდა წამოაძახო“

„ქართულ ოცნებაში“ აღმართული კედელი უნდა ჩამოიშალოს“

გვ.3

ვერის ბაღში ნაციონალების საწინააღმდეგო აქცია გაიმართა

გვ.3

სოსო ცინცაძე: „სააკაშვილი მუდმივი ლურსმანი იქნება ვაშაძის სავარძელში“

სამართალი

გვ.6

„პროკურატურას თუ მძევალი სჭირდება, მე დამიჭირეთ და ლაშა გოგია გაუშვით“

ლაშა გოგიასა და გია გულორდავას წინასწარი პატიმრობა შეეფარდათ

მამუკა ხეცურიანის დაკავების გამო ზვიად გამსახურდიას ვაჟი, გიორგი გამსახურდია, დააჯილდოვეს

გვ.7

გვ.6

ასკაროვი: „ოცნება მხარდამჭერებს ჩემს მიწებს ჰპირდება“

გვ.7

ზვიად დევდარიანს ქალების სექსუალური შევიწროება დაუდასტურდა

ეკონომიკა

გვ.5

ბინის გაქირავებითა და კრიპტოვალუტის გაყიდვით მიღებული შემოსავალი

რა ქონებას ფლობს ირმა ნადირაშვილი

საქართველოს მოსახლეობა შემოსავლის თითქმის ნახევარს საკვებში ხარჯავს

„მაგთიკომი“ და „სილქნეტი“ ბაზრის 76%-ს აკონტროლებენ

ISSN 1987-9385

7 პროკურატურამ ბრალი „ოცნების“ დეპუტატის ოჯახის წევრებსაც წარუდგინა

4 მირიან მირიანაშვილი: „ამოქმედებულია ხელისუფლების გადაბარების სხვა ვარიანტი“

4 ვახტანგ ხმალაძე: „პრეზიდენტი პარლამენტს ვერ დაითხოვს“

8 ერდოღანი: „თურქეთი რუსეთთან ყირიმის მიერთებას არასდროს ცნობს“

„დღეს არეულობა მხოლოდ ხელისუფლებას აწყობს“

„ოცნებაში“ ბევრად მეტი ნაციონალია, ვიდრე გაერთიანებულ ოპოზიციაში“

შორენა მარსაგიშვილი

რატომ ვერ დაბრუნდებიან ნაციონალები ხელისუფლებაში, რატომ შეწყვიტა ხალხმა „ოცნება“, ვის აწყობს ქვეყანაში არეულობა? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ მონიტორინგის ცენტრ „მედიატორის“ წარმომადგენელი დიმიტრი ბიძინაშვილი ესაუბრება.

დიმიტრი ბიძინაშვილი:

– რამდენჯერაც რაიმე აქციის გამართვა გადავწყვიტეთ, ხელისუფლებამ იმდენჯერ განაცხადა, რომ აქციები ქვეყანას სამოქალაქო დაპირისპირებისკენ მიაქანებს. ახლა ვხედავთ, რომ „ოცნების“ მომხრეები გამოვიდნენ და ვერის ბაღში საპროტესტო შეკრება გამართეს.

ამ აქციის მიმართ ხელისუფლებას რატომღაც პრეტენზიები არ ჰქონია, მეტიც, აქციას ტაშიც კი დაუკრეს. თურმე ნუ იტყვით და მსგავსი ღონისძიების გამართვა სახიფათო საერთოდ არ ყოფილა.

ძალიან საინტერესო იყო თავად პათოსი. „ოცნება“ უკვე მეშვიდე წელია, ხელისუფლებაშია, მიხეილ სააკაშვილი 5 წელია აღარ არის საქართველოს პრეზიდენტი და „ოცნების“ მომხრეები მიშას გადადგომას ითხოვენ.

იმ პირობებში ითხოვენ გადამდგარი სააკაშვილის გადადგომას, როცა ეროვნული ვალუტა სრულად გაუფასურდა, საწვავი 3 ლარამდე ავიდა, 70.000 ბავშვი შიმშილობს, მილიონამდე ადამიანი სოციალურად დაუცველია.

ამ ფონზე „ქართული ოცნება“ 6 წლის წინ ხელისუფლებიდან წასულ ნაციონალებს უწყობს აქციას და ეუბნება, გადადექიო. სრული ქაოსი და უბედურება ტრიალებს. „ოცნებას“ მართლა თუ უნდა ნაციონალების დასრულება, მაშინ ჯერ საკუთარი პარტიის შემადგენლობას გადახედონ.

– რას გულისხმობთ, „ოცნება“ რომ ნანაცრებით არის სავსე?

– რა თქმა უნდა. დღეს „ოცნებაში“ უფრო მეტი ნაციონალია, ვიდრე ნაციონალურ მოძრაობაში.

ნაციონალების წინააღმდეგ ბრძოლა არჩევნების შემდეგ გააძლიერეს. არა ნაცებს და არა მიშასო, ყვირიან და რამდენიმე დღის წინ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილედ დანიშნეს ყოფილი ნაციონალი მიხეილ ნინუა, რომლის მიმართაც ძალიან ბევრი კითხვის ნიშანი იყო.

თავად ნიშნავენ ნაციონალებს თანამდებობებზე და მერე არა ნაცებსო, ყვირიან. მივმართავ საზოგადოებას, თავად დაითვალოს, სად უფრო მეტი ნაციონალია, გაერთიანებულ ოპოზიციაში თუ „ქართულ ოცნებაში“.

– ოპოზიცია ხელისუფლების წინააღმდეგ აქციებს მართავს. ეს ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ რას ნიშნავს, როცა ხელისუფლება ოპოზიციას უწყობს აქციას?

– ეს ნიშნავს იმას, რომ ხელისუფლება სრულად არის ჩამოშლილი. „ქართული ოცნება“ ოცნებას მოეშვა და ძალიან მწარე რეალობის წინაშე დადგა. საზოგადოებამ კარგად შეაფასა ამათი ნამუშევარი და ზურგი აქცია.

მთელი 6 წლის განმავლობაში ხალხმა ქვეყნის მართვის საშუალება მისცა – ყველა არჩევნები, რაც კი 2012 წლიდან მოყოლებული ჩატარდა, მოაგებინეს. ამხელა მხარდაჭერის საპასუხოდ საზოგადოებამ ვერანაირი სიკეთე ვერ დაინახა. ამიტომაც უთხრეს მათ 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში უარი.

ასეთივე პასუხს მიიღებს მმართველი პარტია მეორე ტურში. ამიტომ არიან მეოცნებეები ასეთი გამწარებულები. გამწარების ხარისხს შიდა დაპირისპირებაც ზრდის.

– შიდა დაპირისპირებაში რას გულისხმობთ?

– რაღაც პრობლემებია ფულთან დაკავშირებით. თავიანთ მხარდამჭერებს შავი ფული დაურიგეს და ეგონათ, ამ შავი ფულით მოახერხებდნენ რაღაცას. სრულად მოხდა ადმინისტრაციული რესურსის მობილიზება, მაგრამ ვერაფერმა ვეღარ უშველა. ამათი საქმე წასულია.

– ადმინისტრაციული რესურსის მობილიზება, ეტყობა, სრულად ვერ მოახერხეს. „ოცნების“ ნებიერა გორის მაჟორიტარმა განაცხადა, საჯარო მოხელეს რატომ უნდა დასჭირდეს იმის თქმა, თუ ვის მისცეს ხმაო.

– ამ განცხადებას სხვაგან დიდი სკანდალი მოჰყვებოდა, მაგრამ „ოცნება“ ისეთ დღეშია, აღარც კი მალავენ, რომ ადმინისტრაციულ რესურსს იყენებენ. მთელ რიგ მუნიციპალიტეტებში მერიის შენობებშია გახსნილი „ოცნების“ საარჩევნო შტაბები, რაც არის დარღვევა. კიდევ ბევრ რამეს არღვევენ, მაგრამ ამით სურათი არ შეიცვლება.

– დარწმუნებული ხართ, რომ სურათი არ შეიცვლება?

– ეჭვიც არ მეპარება. მეორე ტურში უარეს შედეგს მიიღებენ. საზოგადოება დარწმუნდა, რომ „ოცნება“ არაფრის გამკეთებელი არ არის და ისინი უნდა წავიდნენ სახლში.

თავის გადასარჩენად ხალხს ატყუებენ, ოპოზიცია თუ მოიგებს, სამოქალაქო ომი დაიწყებაო. სად გაგონილა, რომ არჩევნებში გამარჯვებული ძალა ომს იწყებდეს.

– სადაც ხელისუფლება ოპოზიციის გადადგომას ითხოვს, იქ ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

– ეგ „ოცნებამ“ შეიძლება გააკეთოს ყველაფერი. როგორც წესი, არჩევნებში გამარჯვებული ძალა სამოქალაქო დაპირისპირებაზე არ მიდის.

– არც რევანშზე? ხალხს რევანშის უფრო ეშინია.

– არც რევანში იქნება. ამ ქვეყანაში ერთხელ და სამუდამოდ უნდა დავასრულოთ რევანში და ანგარიშსწორება. გაერთიანებულ ოპოზიციაში ყველა ასე ფიქრობს. ვიღაცას თუ ბიუჯეტის ფული აქვს შეჭმული, მის უკან დაბრუნებას აუცილებლად მოითხოვენ, მაგრამ ეს არ არის რევანში.

უკვე დროა, საქართველოში პოლიტიკური კლასი შეიცვალოს. გაერთიანებულ ოპოზიციაში არიან ახალგაზრდები, რომლებსაც რაღაცების შეცვლა შეუძლიათ.

– ამ ახალგაზრდებს სისხლიან 9 წელთან რა აკავშირებთ?

– არაფერი არ აკავშირებთ. კიდევ გავიმეორებ, სისხლიანი 9 წლის შემოქმედები „ოცნებაში“ გაცილებით მრავლად არიან, ვიდრე გაერთიანებულ ოპოზიციაში.

პარტიაში ზარდიაშვილი, მურუსიძე და ჩინჩალაძე რომ გყავს, სხვას როგორ უნდა წამოაძახო 9 წელი?! ან თბილისის მერი როგორ ლაპარაკობს ნაცებზე, ეგ არ იყო, მიშა სააკაშვილს საპრეზიდენტო არჩევნების დროს ხელჩაკიდებული რომ დასდევდა?!

ცუდი არ იქნება, თუ თავის ნაციონალურ წარსულს გადახედავს საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი არჩილ თალაკვაძე, დალაგებული სახით რომ გამოდის და რაღაცებს ლაპარაკობს. საკუთარ წარსულს გადახედონ და მერე აძახონ სხვებს სისხლიანი რეჟიმის მსახურება.

დიმიტრი ბიძინაშვილი: „როცა მურუსიძე და ზარდიაშვილი გვერდით გისხედან, 9 წელი სხვას არ უნდა წამოაძახო“

დღეს საქართველოში სამოქალაქო დაპირისპირება „ქართულ ოცნებას“ აწყობს მხოლოდ.

– „ქართულ ოცნებას“ რაში უნდა აწყობდეს არეულობა?

– მათ მხოლოდ ასეთ ვითარებაში შეუძლიათ, არჩევნების შედეგები სათავისოდ შეცვალონ. გაერთიანებული ოპოზიცია ისედაც გამარჯვებულია და არეულობა მას არ სჭირდება.

– ამბობთ, რომ ოპოზიციას არეულობა არ უნდა, ხელისუფლების მომხრეები კი აცხადებენ, ოპოზიციის გამარჯვებას არ დავუშვებთო. ვთქვათ და გაიმარჯვა ოპოზიციამ, რას იზამს ეს ხალხი – აურევს სიტუაციას თუ, როგორც თავის დროზე „ოცნებას“ მოერგნენ, ასევე მოერგებიან გამარჯვებულ ძალას?

– მარტო „ოცნებას“ რატომ მოერგნენ? თავის დროზე სააკაშვილისა და შევარდნაძის კალთაშიც კარგად გრძნობდნენ თავს. ვერის ბაღში მიშას გადადგომა იმ ხალხმა მოითხოვა, ვინც იმას ეკედლება, ვის ხელშიც ძალაუფლებაა.

ასეთი მედროვე ადამიანები სახელმწიფოს განვითარებას სერიოზულად აფერხებენ. არ შეიძლება, რამდენიმე ადამიანის კეთილდღეობას გადაჰყვეს საქართველო. მედროვეები უნდა დასრულდნენ.

ეს მედროვეები ახლა იმიტომ გამოვიდნენ ქუჩაში, რომ გრძნობენ „ოცნების“ დასასრულს. ისინი ყველანაირი ძალით ცდილობენ, ეს ხელისუფლება შეინარჩუნონ. „ოცნების“ შენარჩუნება მხოლოდ იმიტომ უნდათ, რომ თავად ნახონ სარგებელი.

ხალხს რაც შეეხება, ხალხი მორჩა ოცნებას და უარი უთხრა „ქართულ ოცნებას“. ხალხმა დაინახა, რომ მმართველმა ძალამ, ქვეყნის აშენების ნაცვლად, საკუთარი ვილები აიშენა, მათი წევრები ასეულობით ათას ლარს ხარჯავენ ფერწერულ ტილოებში და ეს ხდება მაშინ, როცა ასეულობით ათას ადამიანს შია.

მამუკა ბახტაძეს გიორგი გახარია შეცვლის?

შორენა მარსაგიშვილი

მმართველ პარტიაში დიდი ცოდვის ტრიალია. საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში მარცხნაჭამი „ოცნება“ გამოსავალს ეძებს. ბიძინა ივანიშვილისგან დაწიოკებულ ხელისუფლებაში მოსალოდნელ საკადრო ცვლილებებზე ალაპარაკდნენ.

ცვლილებები რომ იქნება, ამაზე მეოცნებეები ღიადაც საუბრობენ, მოსალოდნელ სამთავრობო კარუსელზე კი ჯერ კულუარებში საუბრობენ მხოლოდ. როგორც „ოცნებასთან“ დაახლოებულმა წყარომ „ახალ თაობას“ განუცხადა, აქტიურად საუბრობენ პრემიერის შეცვლაზე.

მამუკა ბახტაძე, მართალია, საზოგადოებას არ აღიზიანებს, მაგრამ მისმა მთლად უქარიზმობამ ბიძინა ივანიშვილი გადარია თურმე და გადარეულმა ბიძინა ივანიშვილმა მისი შემცვლელის მოძებნა გადაწყვიტა.

როგორც „ოცნებასთან“ დაახლოებული წყარო გვიყვება, ამ ეტაპზე აქტიურად საუბრობენ იმაზე, რომ პრემიერის პოსტს შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი გახარია დაიკავებს.

გიორგი გახარიას გაპრემიერების შანსი რამდენიმე თვის წინაც ჰქონდა. მაშინ „ოცნება“ პრეზიდენტის პოსტზე გიორგი კვირიკაშვილის კანდიდატურის დასახელებას გეგმავდა, პრემიერის ადგილს კი გახარია დაიკავებდა.

რაღაც ძალებს გახარიას გაპრემიერება არ აწყობდათ და მის წინააღმდეგ „ოცნებაში“ სერიოზული ბრძოლა დაიწყო. მაშინ იმ ძალებმა გახარიას ჩაჩოჩება შეძლეს და მთავრობის მეთაური მამუკა ბახტაძე გახდა, რომელიც დიდი ქარიზმით არ გამოირჩევა. გახარიას კი ეს ქარიზმა აქვს და მის მიმართ სიმპათიებს ღრმადმორწმუნე ნაციონალების ნაწილიც კი გამოხატავს.

მართალია, როგორც ლექსო ჭიკაიძე იტყოდა, ქვეყანაში კრიმინალი შესანიშნავ მდგომარეობაშია, მაგრამ გახარიას მიმართ საზოგადოება მაინც დადებითად არის გაწყობილი. მეორე ტურის წინ მისმა გაპრემიერებამ, შესაძლოა, „ოცნების“ რეიტინგზე კარგად იმოქმედოს.

საკადრო ცვლილებებს ელოდებიან ძალოვან სტრუქტურებშიც. ბოლო თვეების განმავლობაში თავდაცვის მინისტრ ლევან იზორიას წინააღმდეგ ბევრი სკანდალი აგორდა. როგორც ამბობენ, მას წასვლის შესახებ განცხადება უკვე დაწერილი აქვს. ის თანამდებობის დატოვებას 28 ოქტომბრის შემდეგ აპირებდა. 28 ოქტომბერმა პრეზიდენტი ვერ გამოავლინა და იზორია შეიძლება მეორე ტურის წინ წავიდეს.

ცვლილებებს ელოდებიან სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურშიც. ამბობენ, რომ ვახტანგ გომელაურს ისედაც უნდოდა წასვლა და ისიც ნაარჩევნებს უნდა წასულიყო.

მმართველი გუნდი ოფიციალურად ამ ინფორმაციას არ ადასტურებს, კულუარებში კი ამბობენ, რომ გომელაურს მისი მოადგილე ალეკო ტაბატაძე შეცვლის.

თანამდებობის დატოვების კანდიდატია მაია ცქიტიშვილიც. ის ინფრასტრუქტურის მინისტრად გაზაფხულზე დაინიშნა, მაგრამ რამდენიმე სერიოზულ სკანდალს გამოჰკრა უკვე ხელი.

თავისი განცხადებებით ხალხს სერიოზულად აღიზიანებს ეკონომიკის მინისტრი გიორგი ქობულია. კაცი ხელიდან წასულ ლარზე ამტკიცებს, სტაბილურიაო და მისი შეცვლა „ოცნებას“ ახლა ძალიან უნდა აწყობდეს.

ვნახოთ, როგორ წავა საქმე, „ოცნებამ“ ცვლილებები უკვე დააანონსა, ისევე, როგორც ხალხის მოსმენა და მოფერება.

მოფერების კამპანია დღეიდან, 5 ნოემბრიდან, იწყება, სამთავრობო ცვლილებების ამბავი კი ჯერ საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„საакაშვილი მუდმივი ლურსმანი იქნება ვაშაძის სავარძელში“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო სოსო, როგორ შეიძლება, მოვლენები განვითარდეს 28 ოქტომბერს მიღებული შედეგების შემდეგ? რას შეცვლის „ქართული ოცნება“?

– არაგადამწყვეტი არჩევნები, არჩევნები, რომელიც რეალურად ძალთა ბალანსს არ ცვლის, იქცა გადამწყვეტ არჩევნებად. ამ არჩევნებმა ასეთი სიმბოლური დატვირთვა სწორედ „ქართული ოცნების“ მეცადინეობით შეიძინა და რა მიიღო – პირველი წაფორხილება.

ნებისმიერ ადამიანს გავხდით პრეზიდენტს – ეს უკვე აღარ მუშაობს. ჯოხს დავარჭობ, ჯოხი გაიმარჯვებს – ეს იყო მცდარი და გადაჭარბებული შეხედულება. ბიძინა ივანიშვილმა მეტი შორსმჭვრეტელობა უნდა გამოიჩინოს. მოხდა ის, რასაც საერთოდ არ მოელოდნენ. თუ მიხვდებიან, ყველაფერი რადიკალურად უნდა შეცვალონ.

ეს არჩევნები თვითონ აქციეს სუპერარჩევნებად. გვითხრეს, მოგება ჩვენი ღირსების საქმეაო. ღირსების გამო წინა საუკუნეებში ომები იწყებოდა. თუ ჩვენი ხელისუფლება მართლაც ევროპული ფასეულობების მიმდევარია და საღამე ზურაბიშვილი ევროპული ჩამოსხმის პოლიტიკოსია, მაშინ მისთვის კატასტროფის ტოლფასი არ უნდა ყოფილიყო დამარცხება, ვინაიდან ნებისმიერი დემოკრატიული საზოგადოებისთვის დამარცხება და გამარჯვება ტყუპებია. დღეს დამარცხდები, ხვალ გაიმარჯვებ, მაგრამ არა, თურმე არ შეიძლება საღამე ზურაბიშვილის დამარცხება!

რატომ არ შეიძლება, ვერ გავიგე, თუ თავის დროზე ჩერჩილი, დე გოლი, ტეტჩერი დამარცხდნენ?! ამ დღეებში მერკელი დამარცხდა და საერთოდ პოლიტიკიდან აპირებს წასვლას. ჩერჩილი შეიძლება დამარცხდეს, ზურაბიშვილი კი არ შეიძლება დამარცხდეს?! რა არის ასეთი რადიკალიზმის მიზეზი?!

ამას ცოტა პროვინციალიზმის სუნიც ასდის და ანტიდემოკრატიულობის, ანტიევროპელობისაც.

– შეიძლება, მიზეზი უფრო შორსმიმავალია, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები.

– მე გითხარით, რომ ეს დატვირთვა ამ არჩევნებს სწორედ „ქართულმა ოცნებამ“ შესძინა. თუ მიზეზი ეს არის და გათვლაც ეს არის, მაშინ მათ პოლიტიკა უნდა შეცვალონ და არა – პარტიის მენეჯმენტი, როგორც გვითხრეს.

თუ გედევან ფოფხაძეს ჩაანაცვლებენ სხვა სახელითა და გვარით, ამით პოლიტიკას შეცვლიან?! თუ მათ მართლა ჰგონიათ, რომ პრობლემა კომუნიკაციაშია?!

ხელისუფლებამ დისკურსი გადაიტანა მთავარიდან მეორეხარისხოვანზე, ეს ნამდვილად შეძლო.

– რას გულისხმობთ?

– არავინ ახსენებს სოციალურ პრობლემებს, ადამიანების გაჭირვებას, უმუშევრობას. მთელი პოლიტიკა აწყობილია 9 წელსა და საакაშვილის შეწყალებაზე. თქვენ გგონიათ, ადამიანებს ადარდებთ, პარტიის ვერტიკალი როგორი იქნება ან პარტიის მენეჯმენტი?!

– მცდარი მესიჯებია?

– მცდარის გარდა, სარისკო მესიჯებია. „ოცნება“ მიეჩვია, რომ შეუსრულებელი დაპირებებისთვის მას პასუხს არ სთხოვდნენ. 2012 წლის შეუსრულებელი დაპირებებისთვის მისთვის პასუხი 2016 წელს არ მოუთხოვია ამომრჩეველს, ამიტომ ამას მიეჩვია და ახლაც ასე ეგონა, რომ იოლას გავიდოდა.

არ შეიძლება, წინა ხელისუფლების შეცდომა, გნებავთ დანაშაული, შემდეგი ხელისუფლებისთვის ინდულგენცია იყოს. წინა ხელისუფლების პასუხისმგებლობისთვის არსებობს არჩევნები, პროკურატურა, სასამართლო. ყველა პასუხს თავის ქმედებებზე აგებს და არა – წინამორბედის.

ახლა რა არის გზავნილი – ისევ 9 წელი, რომ სისხლის გუბეები დაბრუნდება, რომ ვაშაძე შეიწყალებს საакაშვილს. ამ დროს ნებისმიერი პროფესიონალი გეტყვით, რომ ვაშაძე არავითარ შემთხვევაში საакაშვილს არ შეიწყალებს.

– თქვა, რომ შეიწყალებს.

– ვაშაძე გიჟი არ არის, რომ საакაშვილი შეიწყალოს და ჩამოიყვანოს. საакაშვილი ჩამოვა და განცდა ექნება, რომ ის არის პრეზიდენტი და არა ვაშაძე. ეს ხომ იცის ვაშაძემ!

– მერაბიშვილი და ახალაია ამბობენ, შეესაწყალებელი არაფერი გვჭირსო. მათი შეწყალებით შეიცვლება რამე?

– მერაბიშვილი და ახალაია პოლიტიკური ლიდერები არასდროს ყოფილან. ვერავინ დამაჯერებს, რომ მერაბიშვილს იმხელა პირადი რესურსი გააჩნია, რომ გამოვა და რევოლუციას მოაწყობს. ეს გამორიცხულია. მე უფრო მგონია, რომ ისინი სახლში დარჩებიან, ალბათ სიმშვიდე მოენატრათ.

– მაგრამ სახლში არ დარჩება საакაშვილი.

– საакაშვილი სახლში ნამდვილად არ დარჩება, მაგრამ მე არ მგონია, რომ ვაშაძემ მუდმივი ლურსმანი იგუოს სავარძელში. მე სხვა რაღაცის უფრო მეშინია – „ქართულმა ოცნებამ“ უკანდასახევი გზა არ დაიტოვა.

– რას გულისხმობთ?

– მან არ თქვა – წავაგე არჩევნები, ვიღებ, როგორც რეალობას და ვემორჩილები ხალხის ნებას, როგორც ეს ხდება დემოკრატიულ სახელმწიფოში.

სიკვდილი ან გამარჯვება – ამ რანგშია დღეს მეორე ტური აყვანილი. როგორც ჩანს, პოლიტიკურ სიკვდილს არავინ აპირებს, არც ერთი მხარე და არც – მეორე.

„ქართულ ოცნებაში“ აღმართული კედელი უნდა ჩამოიშალოს“

გულიკო ბალაძე

საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ნაციონალებს პრეზიდენტის რანგში ხელისუფლებაში დაბრუნების შანსი გაუჩნდათ. ამან სამოქალაქო საზოგადოების გააქტიურება გამოიწვია. ფეისბუქით აქცია დააანონსეს და ვერის ბაღში შეიკრიბნენ. პოლიტიკოსებს მოუწოდეს, იქაურობას არ გაჰკარებოდნენ.

– ვუპირისპირდებით იმ რეჟიმს, რომელიც ყველამ ერთად გამოვიარეთ. ყველა ერთად ვეუბნებით: არა ძალადობას! არა ახალგაზრდების ქუჩებში მკვლელობას! არა უკეთურებას! არა ოკუპაციას! მოძალადეებს აქვთ დაბრუნების სურვილი. რაც იყო, არ დაბრუნდება, ნაციონალები ვეღარ დაბრუნდებიან. მათ დაბრუნებაზე საუბარი ზედმეტია, – ასეთი განცხადებები კეთდებოდა ვერის ბაღში შეკრებილი ადამიანების მხრიდან.

მათ შორის იყო პოეტი დავით მაღრაძე, რომელმაც იქ შეკრებილებს ასე მიმართა:

– უნდა დავიცვათ თავისუფლება ისე, როგორც ვიცავდით. თავისუფლებისთვის ბრძოლა არ არის ერთჯერადი აქტი და იმისთვისაც მზად ვართ, რომ გრძელვადიანად დავიცავთ თავისუფლება. ამის დემონსტრირებისთვის 7 ნოემბერს, 2 საათზე, ვიკრიბებით რუსთაველის თეატრში. ქუდზე კაცი გამოვა არჩევნებზე და, როგორც იქნება, ამ მოძალადე ადამიანებს ერთხელ და სამუდამოდ გავისტუმრებთ პოლიტიკურ სანაგვეში. ისინი აღარავის ემახსოვრება და ისტორიის კუთვნილება გახდებიან, – განაცხადა მან.

შაკო კუჭაშვილი– აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორი:

– გაქცეული ექსპრეზიდენტი მიხეილ საакაშვილი აცხადებს, მე შესაწყალებელი არაფერი მჭირს და არც ვაშაძის შეწყალება მჭირდებაო. ეს არის სრული ბლეფი. ღმერთმა დაგვიფაროს, როგორც კი გრიგოლ ვაშაძე გახდება პრეზიდენტი, აუცილებლად შეიწყალებს ბაჩანა ახალაიას, ივანე მერაბიშვილს, მიხეილ საакაშვილს, რასაც ჩვენ არ დავუთმობთ.

ჩვენ არ დავტოვეთ მარტო ბუტა რობაქიძის დედა ია მეტრეველი. ახალგაზრდები არ ვირჩევთ უკეთეს მომავალს, არ დავუშვებთ ფაშიზმის დაბრუნებას. ზუსტად 14 წლის ვიყავი, როდესაც დედაჩემს ვუთხარი, მე უნდა ვებრძოლო სიბნელეს. სიბნელე არის მიხეილ საакაშვილი. გაქცეული პრეზიდენტი ვერასოდეს დაბრუნდება. არა მიშას!

ხელისუფლებას ვაფრთხილებთ, გააააქტიუროს მუშაობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება დაბრუნდეს რეჟიმი. ჩვენ გვინდა უკეთესი მომავალი და არა წარსულში დაბრუნება. ამის გამო მიგზავნიან მუქარის მესიჯებს, ამის გამო აბულინგებენ ნინი ქარსელაძეს, ამის გამო აყენებენ ცნობილ ადამიანს ლაშა ტალახაძეს შეურაცხყოფას. ჩვენ არ გვეშინია, დაგვიმახსოვროს ნიკა გვარამიამ, – განაცხადა შაკო კუჭაშვილმა.

აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორი 2004 წელს მოკლული ბუტა რობაქიძის დედა **ია მეტრეველი** გახლდათ.

– ათასი უბედურება გადავიტანეთ და მაშინ არ შეგვშინებია. მინდა, აქედან ვუთხრა ნაცმოძრაობას, დაგამარცხებთ ძალიან დიდი ანგარიშით.

ვერის ბაღში ნაციონალების საწინააღმდეგო აქცია გაიმართა

გაიხსენეთ ჩემი ტრაგედია, როდესაც ახალგაზრდა 40 წლის ქალს დამიმთავრეს ყველაფერი, დედობაც, ბებიობაც და ყველაფერი. ახლა უკვე შვილიშვილებით დახუნძლული უნდა ვიყო. არაფერი აღარ დამრჩა ამ ცხოვრებაში. კიდევ კარგი, დისშვილები და ისეთი ახლობლები მყავს, ვისთვისაც ვცხოვრობ და ვცოცხლობ ხალხისთვის.

თუ ნაცები დაბრუნდნენ, აუცილებლად იქნება სხვა ბუტა, სხვა გიორგი, სხვა სანდრო, – განაცხადა ია მეტრეველმა.

გვესაუბრა „ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი **ჯუმბერ ანანიძე:**

– 2012 წელს ჩვენი ამოცანა იყო, ნაცმოძრაობა გაგვეშვა პოლიტიკურ მოუსავლეთში, მაგრამ „ქართულმა ოცნებამ“ ე.წ. კოაბიტაციით მათი რეაბილიტაცია მოახდინა. დღეს სჯობს, სიმართლე ვილაპარაკოთ, ხვალ ჩვენთვის იქნება უკეთესი. ვილაპარაკოთ შეცდომებზეც.

– რა შეცდომები დაუშვა „ოცნებამ?

– 2012 წელს ნაცები არ ჩანაცვლდნენ 2012 წლის მხარდამჭერებითა და დამფუძნებლებით. ჩვენ დავრჩით ქუჩაში, ისინი დარჩნენ საპასუხისმგებლო თანამდებობებზე. ამ შეცდომის შედეგებს ჩვენ დღეს ვიმკით.

– კოაბიტაციით ნაცების ნაწილმა „ოცნების“ ხელისუფლებაში გადაინაცვლა?

– „ქართული ოცნების“ აქტიური მხარდამჭერები, ყველაფერს რისკის ფასად რომ აკეთებდნენ, დარჩნენ ქუჩაში.

– თქვენ რით ხართ უკმაყოფილო?

– მე პირადად 2012 წელს ქალბატონმა მანანა კობახიძემ (ის იყო მაშინ პარტიის თავმჯდომარე) შემომთავაზა, კენჭი მეყარა ქობულეთის რაიონში. სასტიკი უარი ვუთხარი, რადგან მე ვარ გენერალი, სამხედრო და ცხოვრებაში ჩემი ამოცანა მაქვს, ჩემი სამშობლო დავიცვა. მანანა კობახიძემ მითხრა, კენჭი უნდა იყაროო. ბოლოს დავთანხმდი. საარჩევნო კამპანიის დაწყების წინ დამიძახეს და მითხრეს, დიდი ბოდიში, მაგრამ თქვენ იმდენი მტერი გყოლიათ „ოცნებაში“, ვერაფერს გავხდითო. ვუთხარი, მაშინ შემახვედრეთ ბატონ ბიძინას-მეთქი. მე სადღაც დაკარგულ ავღანეთში შევხვდი ბაბრაკ კარმალს. ის არც ბიძაჩემი იყო და არც – ბაბუაჩემი. ჩემი ქვეყნის პირველ პირს როგორ ვერ უნდა შევხვდე გენერალი კაცი-მეთქი. მინისტრებს, პატრიარქს შევხვდი, მაგრამ დღემდე ვერ შევხვდი ბიძინა ივანიშვილს.

– რას ეტყოდით ბიძინა ივანიშვილს?

– ვეტყოდი სიცრუის მანქანაზე, რომელიც დღეს კიდევ არის ჩანერგილი „ოცნებაში“, იმიტომ ვერ ვაღწევთ მიზანს.

– ანუ რას არ აკეთებენ?

– ბატონ ბიძინას სიმართლეს არ ეუბნებიან. ბატონი ბიძინა შეცდომაში შეჰყავთ, არასწორ ინფორმაციას აწვდიან.

– ვინ?

– ჩანერგილები. ვინც მართლა ერთგული იყო და ვინც მართლა იბრძოლა, ისინი გვერდზე დარჩნენ. შემახვედრონ ბატონ ბიძინას და ის სიცრუის მანქანა იქნება დამარცხებული. ძალიან ბევრი რამ ვიცი, რაც ხდება

დღეს „ქართულ ოცნებაში“ და, კედელი რომ არის აღმართული, უნდა ჩამოვშალო.

– არჩევნებზე ხმა ვის მიეცით?

– ჩვენ ჩვენი კანდიდატი გვყავდა. ჩვენ კვალიფიციური პარტია ვართ და კანდიდატიც წარვადგინეთ, გელა ხუციშვილი. მინდოდა, მოეხსნა კანდიდატურა, მაგრამ მე საზღვარგარეთ ვიმყოფებოდი და სიტუაცია ისე წარიმართა, ბოლომდე გავიდა.

მირიან მირიანაშვილი: „ამოქმედებულია ხელისუფლების გადაბარების სხვა ვარიანტი“

მარიამ მჭედლიშვილი

საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურამდე თვეზე ნაკლები რჩება. ქვეყანაში შექმნილ დაძაბულ სიტუაციაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატს, „საქართველოს გადარჩენის მოძრაობის“ ლიდერ მირიან მირიანაშვილს.



მირიან მირიანაშვილი:

– ქვეყანაში შექმნილია ვითარება, რომელიც სცილდება ჩვეულებრივ წინასაარჩევნო ბატალიებსა და დაძაბულობას. აქ მხოლოდ პრეზიდენტის ბედი არ წყდება.

– თქვენივე ინფორმაციით, ნაცმოძრაობამ და მის გარშემო გაერთიანებულმა ძალებმა უარი თქვეს ქაოსის მოწყობის გეგმაზე. ამის მიუხედავად, მაინც სახიფათოა ვითარება?

– უარი საპროტესტო აქციებზე ნაცმოძრაობამ დასავლეთის მოთხოვნით თქვა. ჯონ ბოლტონის ჩამოსვლამ ამერიკელების პოზიცია გაამყარა. ვაშინგტონს დესტაბილიზაცია ამ ისედაც ცხელ რეგიონში არ უნდა, მით უმეტეს, არ სჭირდება ხელისუფლების გადაბარება.

– ეს დაგეგმილია?

– პირველი სქემა, რომელიც ითვალისწინებდა ქაოსის გზით ნაციონალების მთელი ბანაკის დაბრუნებას ხელისუფლებაში, ვერ შეასრულეს. ეს მიზნის მიღწევის უფრო იოლი გზა იყო. ამოქმედებულია ხელისუფლების გადაბარების გეგმის სხვა ვარიანტი. ის არ გულისხმობს ქუჩის საპროტესტო გამოსვლებს. ამ გეგმის შესრულებაში მხოლოდ ნაციონალური მოძრაობა არ არის ჩართული.

– ნაცმოძრაობის ყველა განაყოფი, რესპუბლიკელები, ერთად არიან.

– ხელისუფლების გარკვეული წრეებიც ნაცმოძრაობაზე მუშაობენ. გამოიყენება გაყალბება, ასევე ლარის გაუფასურება.

– ლარი ხელოვნურად უფასურდება?

– განვითარებად ქვეყნებში წინასაარჩევნოდ ეროვნული ვალუტის კურსის ერთი პუნქტით დაწევა ნახევარი პროცენტით ზრდის ოპოზიციონერი კონკურენტის რეიტინგს.

– ამ მიზეზით გრიგოლ ვაშაძის რეიტინგი ზვიდმილიანი ნაბიჯებით გაიზრდება, თანაც, შეძახილი „მიშა მოდის“ მის მიერ დაზარალებულებსა და ნაციონალების მოწინააღმდეგეებს აღარ აშინებთ.

– „მიშა მოდის“ ძახილი სჭირდებათ ფანებს, რომლებსაც ჰგონიათ, რომ სააკაშვილი მართლა ჩამოვა. ის ევროპაში იმყოფება არა პოროშენკოს ახირებით, არამედ, იმის გამო, რომ ეს არის ვაშინგტონის გადაწყვეტილება. უკრაინის პრეზიდენტმა და უკრაინის შესაბამისმა სამსახურებმა ამას მხოლოდ ხელი შეუწყვეს.

– დანარჩენი ნაციონალების რეინკარნაცია იგეგმება?

– მთავარია, რომ იგეგმება გიგა ბოკერიას მობრუნება და დაწინაურება. ის ნაცმოძრაობაზე კონტროლსაც ინარჩუნებს. რეალურად, „ევროპული საქართველო“ და ნაცმოძრაობა ერთმანეთს არ დაშორებიან. ნაცმოძრაობის მთელი ბანაკი ერთად მოქმედებს.

– სხვა რესპონდენტებსაც უთქვამთ, რომ გიგა ბოკერია მოიაზრება მომავალი კოალიციური მთავრობის პრემიერ-მინისტრად. მასთან ერთად ხელისუფლებაში ჩაფიქრებულია გაშლილი ნაცმოძრაობის ყველა ფლანგის თავმოყრა.

– კოალიციური მთავრობა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებს უნდა მოჰყვეს. ისეთ რეგიონში ვცხოვრობთ, რომ 2 წელიწადი ძალიან დიდი დროა. შეუძლებელია იმის დაგეგმვა, რა იქნება 2 წლის შემდეგ.

– მსოფლიო წესრიგი ყველგან იცვლება. პროცესები სხვაგანაც დაჩქარებულია. საქართველოსთან მიმართებით რისი თქმა გინდათ?

– გადაბარების გეგმის ინიციატორებს უფრო მოკლევადიანი განზრახვები აქვთ.

– განზრახულია გიგა ბოკერიას მთავრობის ჩამოყალიბება 2020 წლამდე?

– ადრეც მითქვამს, რომ რუსეთი, პირადად საგარეო მინისტრი ლავროვი, ცდილობდნენ ბოკერიას გავლენის გაზრდას. მისი კანდიდატურა საგარეო საქმეთა მინისტრადაც განიხილებოდა. ახლანდელი მოკლევადიანი გეგმებით, ბოკერია ნაცმოძრაობასთან ერთად მოდის ხელისუფლებაში. „ქართულ ოცნებაში“ ერთ ნაწილს უკვე შესთავაზეს გარანტიები, ანუ ახალი კაბინეტია.

– ამ კოაბიტაციაში მონაწილეები როლებს იცვლიან?

– როლები იცვლება. 2012 წელს დაწყებული კოაბიტაცია ადრე თუ გვიან დამთავრდებოდა ხელისუფლების გადაბარებით. გადაბარების სხვადასხვა მცდელობაზე ხშირად მისაუბრია. კოაბიტაციის შედეგი იყო ხელის შეშლა, სამართლებრივად დამებრუნებინა ჩემ მიერ 1999 წელს

„ხელისუფლების გარკვეული წრეები ნაცმოძრაობაზე მუშაობენ“

– რესპონდენტებსაც უთქვამთ, რომ გიგა ბოკერია მოიაზრება მომავალი კოალიციური მთავრობის პრემიერ-მინისტრად. მასთან ერთად ხელისუფლებაში ჩაფიქრებულია გაშლილი ნაცმოძრაობის ყველა ფლანგის თავმოყრა.

– კოალიციური მთავრობა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებს უნდა მოჰყვეს. ისეთ რეგიონში ვცხოვრობთ, რომ 2 წელიწადი ძალიან დიდი დროა. შეუძლებელია იმის დაგეგმვა, რა იქნება 2 წლის შემდეგ.

– მსოფლიო წესრიგი ყველგან იცვლება. პროცესები სხვაგანაც დაჩქარებულია. საქართველოსთან მიმართებით რისი თქმა გინდათ?

– გადაბარების გეგმის ინიციატორებს უფრო მოკლევადიანი განზრახვები აქვთ.

– განზრახულია გიგა ბოკერიას მთავრობის ჩამოყალიბება 2020 წლამდე?

– ადრეც მითქვამს, რომ რუსეთი, პირადად საგარეო მინისტრი ლავროვი, ცდილობდნენ ბოკერიას გავლენის გაზრდას. მისი კანდიდატურა საგარეო საქმეთა მინისტრადაც განიხილებოდა. ახლანდელი მოკლევადიანი გეგმებით, ბოკერია ნაცმოძრაობასთან ერთად მოდის ხელისუფლებაში. „ქართულ ოცნებაში“ ერთ ნაწილს უკვე შესთავაზეს გარანტიები, ანუ ახალი კაბინეტია.

– ამ კოაბიტაციაში მონაწილეები როლებს იცვლიან?

– როლები იცვლება. 2012 წელს დაწყებული კოაბიტაცია ადრე თუ გვიან დამთავრდებოდა ხელისუფლების გადაბარებით. გადაბარების სხვადასხვა მცდელობაზე ხშირად მისაუბრია. კოაბიტაციის შედეგი იყო ხელის შეშლა, სამართლებრივად დამებრუნებინა ჩემ მიერ 1999 წელს დაარსებული ერთიანი ნაციონალური მოძრაობა. ტელევიზიებშიც აიკრძალა ჩემი გამოჩენა.

– რა მოხდება მეორე ტურში?

– ნაცმოძრაობის ბანაკისთვის დაბრკოლებებს ქმნიან ორგანიზებული ჯგუფები, რომლებიც გააქტიურდნენ ნაცმოძრაობის წინააღმდეგ. მათი აქტივობით მეორე ტურში ორჯერ მაინც გაიზრდება უბნებზე მისული ამომრჩევლების რაოდენობა. ნაცმოძრაობის მოწინააღმდეგეები გააქტიურდებიან. ასეთი ქვეყანაში უამრავია.

„ქართულ ოცნებაში“ ბევრისთვის მთავარია, რომ სააკაშვილი არ ჩამოვიდეს. თუ ფიქრობენ, რომ ბოკერია მათ სასათბურე პირობებში აცხოვრებს, ცდებიან. პირველ რიგში, ეს კატაკლიზმები პოლიტიკური ველიდან განდევნის ბიძინა ივანიშვილს. თუ გადაბარება მოხდა, ეს პირდაპირ გააფუჭებს ურთიერთობას აშშ-სთან. ვაშინგტონი ისედაც უნდობლად უყურებს „ოცნების“ ხელისუფლებას. ე.წ. ვარდების რევოლუციის წინ რევოლუციონერებმა შევარდნაძის გარემოცვის ქონებით დაინტერესეს ხალხი. ახლა ფაქტობრივმა რევოლუციონერებმა თვალი დაადგეს ივანიშვილის ქონებას.

ივანიშვილი ამ სიტუაციაში ყველასგან მოტყუებულია. ახალ „რევოლუციას“, გადაბარებას კურირებს პუტინის ადმინისტრაციის თანამშრომელი ჩესნოკოვი. ერთმა ამერიკელმა კოლეგამ გამაცნო ფსბ-ს საიდუმლო სახელმძღვანელო. მასში 1990 წელს საქართველოში ეროვნული ძალების მოსვლას ეწოდება „გუმბარიძის აქცია“, 1992 წლის მოვლენებს – „ბურბულისის აქცია“, 2003 და 2012 წლის რევოლუციურ მოვლენებს – „სურკოვის აქციები“. ამჟამად ჩესნოკოვის აქციის განხორციელება დაიწყო.

– გამოსავალი?

– ბიძინა ივანიშვილმა ხელი არ უნდა შეუშალოს გააქტიურებულ ჯგუფებს ნაციონალების მთელი ბანაკის მოგერიებაში.

ვახტანგ ხმალაძე: „პრეზიდენტი პარლამენტს ვერ დაითხოვს“

იაგო ნაცვლიშვილი

რა უფლებამოსილებები ექნება საქართველოს მეხუთე პრეზიდენტს?!

რა უფლებები ექნება საქართველოს მეხუთე პრეზიდენტს და რა შეიძლება გააკეთოს პოტენციურმა პრეზიდენტმა? – ამ თემაზე „ახალი თაობა“ კონსტიტუციონალისტ ვახტანგ ხმალაძეს ესაუბრა.

– ბატონო ვახტანგ, მეხუთე პრეზიდენტი იქნება ნომინალური ფიგურა თუ პირველი პირი იერარქიაში?

– კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტი არის სახელმწიფოს მეთაური, ამიტომ ეს ნიშნავს იმას, რომ ის არის სახელმწიფოს უმაღლესი თანამდებობის პირი. იერარქიულად ის არის სახელმწიფოს მეთაური, ოღონდ უფლებამოსილებების მხრივ და რეალური ძალაუფლების მხრივ, ყველგან უფლებამოსილებები არის აღმასრულებელი ხელისუფლების ხელში.

– თუმცა, პრეზიდენტს რჩება გარკვეული უფლებამოსილებები.

– დიახ. პრეზიდენტს არ აქვს აღმასრულებელი ხელისუფლება, მაგრამ აქვს მთელი რიგი უფლებამოსილებები. რიგი გადაწყვეტილებების მიღება პრეზიდენტის თანამონაწილეობის ან მისი ერთპიროვნული გადაწყვეტილებების გარეშე შეუძლებელია.

მაგალითისთვის, პრეზიდენტს აქვს სრული დისკრეციული უფლებამოსილება, ანუ ერთპიროვნულად წყვეტს, მაგალითად, შეწყალების საკითხებს.

– ვაშაძეს აქვს ნათქვამი, რომ შეიწყალებს სააკაშვილს, მერაბიშვილს, ახალაიებს. თუ არსებობს გარკვეული შეზღუდვები და რა შემთხვევაში?

– ის, რაც ვაშაძის მიერ არის გაცხადებული, თავისთავად არასწორია, რადგან შეწყალება არის აქტი, რომელიც ხორციელდება სახელმწიფოს სახელით. შეწყალება არ უნდა იყოს სუბიექტურ გარემოებებზე დამოკიდებული.

გარკვეული ტიპის დანაშაულის შემთხვევაში პირზე ვერ გავრცელდება შეწყალება. ბევრგან არის ასეთი ნორმა, რომელიც ამბობს, რომ კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისათვის პირი არ შეიძლება იყოს შეწყალებული. არის სხვა მითითებებიც.

– ამავე დროს, პირი უნდა იყოს მსჯავრდებული, ანუ ახლა, როცა პროკურატურამ დაიწყო პატარკაციშვილის მკვლელობის მომზადებაზე ძიება, სააკაშვილის რაღაცა ბრალეულობა რომ გამოკვეთონ, მას ვეღარ შეიწყალებს პრეზიდენტი?

– შეწყალება შეიძლება მხოლოდ იმ პირის, რომლის მიმართაც არსებობს სასამართლოს განაჩენი.

– რა შემთხვევაში შეუძლია პრეზიდენტს, დაითხოვოს პარლამენტი?

– მხოლოდ ერთ შემთხვევაში და ამ დროს არა მხოლოდ შეუძლია, არამედ ის ვალდებული იქნება, ეს გააკეთოს. ეს არის შემთხვევა, როდესაც მთავრობის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში თუ პარლამენტმა არ გამოუცხადა ნდობა მთავრობის ახალ შემადგენლობას, მაშინ პრეზიდენტი ვალდებულია, დანიშნოს რიგგარეშე არჩევნები და დაითხოვოს ამ მოწვევის პარლამენტი.

– ანუ ხელოვნურად ვერ შექმნის პრეზიდენტი კრიზისს?

– პრეზიდენტი ვერ შექმნის. ხელოვნურად ასეთი ვითარება შეიძლება შექმნას თავად პარლამენტმა. ასეთი რამე ახლა მოხდა ჩვენს მეზობელ სომხეთში, როდესაც პრემიერ-მინისტრი გადადგა, რათა რიგგარეშე არჩევნები დაენიშნათ.

ანუ თუ გვინდა, რომ საქართველოში რიგგარეშე არჩევნები გაიმართოს, პრემიერი უნდა გადადგეს, შემდეგ პარლამენტის შემადგენლობის ნახევარზე მეტმა მთავრობის ახალ შემადგენლობას შეგნებულად არ უნდა გამოუცხადოს ნდობა და ამას შედეგად მოჰყვება ის, რომ პრეზიდენტი დაითხოვს პარლამენტს. დაინიშნება რიგგარეშე არჩევნები, რომელიც 2 თვეში უნდა გაიმართოს და მივიღებთ ახალ პარლამენტს და ის შექმნის მთავრობას.

იქამდე კი მოქმედი მთავრობა მოვალეობის შემსრულებელი იქნება და მოვალეობას ახალი პარლამენტის მიერ ახალი მთავრობის შექმნამდე გააგრძელებს.

– პრეზიდენტი რჩება მთავარსარდლად, თუმცა აღარ ეყოლება უშიშროების საბჭო. 1 ნოემბერს გიორგი მარგველაშვილმა მოუწოდა ხელისუფლებას, უშიშროების საბჭოს შემცვლელი ორგანო სასწრაფოდ შეიქმნას ქვეყნის უსაფრთხოებიდან გამომდინარე.

– დღეს მოქმედი უშიშროების საბჭოს უფლებამოსილებაში შედის მხოლოდ თავდაცვის საკითხებზე მუშაობა. სხვა საკითხების განხილვა, მათ შორის სახელმწიფო უსაფრთხოების საკითხების, თუ ისინი ქვეყნის თავდაცვის საკითხებს არ ეხება, არ შედის

უშიშროების საბჭოს უფლებამოსილებაში.

როგორც კი პრეზიდენტი ფიცს დადებს, უკვე მზად უნდა იყოს კანონი, რომლის შესაბამისადაც შეიქმნება ისეთი სტრუქტურული ერთეული, რომელიც ამ საკითხებზე იმსჯელებს. ქვეყნის თავდაცვის უზრუნველყოფა არის პარლამენტისა და მთავრობის საქმე. პარლამენტმა საკანონმდებლო დონეზე უნდა მოამზადოს ის ბაზა, რომელსაც მთავრობა დაეყრდნობა და რომლის შესაბამისადაც ორგანიზებულად გადაწყდება თავდაცვის საკითხები.

– პრეზიდენტის როლი რა არის ამ ვითარებაში?

– პრეზიდენტის როლი უმაღლესი მთავარსარდლის როლია. საპარლამენტო რესპუბლიკებში რეალურად ის არსად არ ახორციელებს სამხედრო ძალების უშუალო მართვას. უშუალო მართვა ხორციელდება ხოლმე ან მთავრობის მეთაურის მიერ, ან ამ მიზნით საგანგებოდ დანიშნული მთავარსარდლის მიერ.

– საომარი მოქმედებების დროს რა ხდება?

– საომარი მდგომარეობა ცხადდება ქვეყანაზე უშუალო თავდასხმის ან თავდასხმის მაღალი ალბათობის მოსალოდნელობის შემთხვევაში. საომარი მდგომარეობის გამოცხადება პრეზიდენტის უფლებამოსილებაა. მხოლოდ პრეზიდენტს შეუძლია ამის გამოცხადება, მაგრამ ეს არ არის დამოკიდებული მხოლოდ მის ნებაზე. ეს წინადადება პრეზიდენტს მთავრობამ უნდა წარუდგინოს.

ეს ლოგიკურიცაა, რადგან სრულ ინფორმაციას, თუ რა ხდება ქვეყნის საზღვრებთან ან ქვეყანაში, მხოლოდ მთავრობა ფლობს. ის უნდა აანალიზებდეს მოსალოდნელ საფრთხეებს და ამაზე დაყრდნობით პრეზიდენტს უნდა შესთავაზოს საომარი მდგომარეობის გამოცხადება, თუმცა წინადადება, ცხადია, პრეზიდენტმა უნდა გააანალიზოს და, თუ მიიჩნევს, რომ საკმარისი არგუმენტებია, მაშინ უნდა გამოაცხადოს. თუ არგუმენტებს საკმარისად არ ჩათვლის, ის უარს იტყვის ამაზე.

როგორც კი პრეზიდენტი გამოაცხადებს საომარ მდგომარეობას, ეს გადაწყვეტილება შედის ძალაში და მაშინვე ამოქმედდება. ოღონდ გადაწყვეტილება უნდა წარედგინოს პარლამენტს და, თუ პარლამენტმა არ დაამტკიცა პრეზიდენტის გადაწყვეტილება, მაშინ საომარი მდგომარეობა გაუქმებულად ჩაითვლება, ანუ 3 სუბიექტის გადაწყვეტილებით ხდება საომარი მდგომარეობის გამოცხადება და, თუ ერთ-ერთი მაინც უარს იტყვის ამაზე, საომარი მდგომარეობა ვერ გამოცხადდება ან გამოცხადებული საომარი მდგომარეობა გაუქმდება.

ეს იმიტომაც, რომ ამ დროს ხდება ადამიანის უფლებების შეზღუდვები. პრეზიდენტს შეუძლია, დეკრეტების გამოცემით შეზღუდოს ამ დროს ადამიანის მთელი რიგი უფლებები. ეს შეიცავს რისკს, რომ ხელისუფლებამ ბოროტად არ გამოიყენოს თავისი ეს უფლებამოსილება. ამიტომ არის მოწყობილი ასე, რომ საომარი მდგომარეობის გამოცხადება რთულია.

ასეთივე მდგომარეობაა საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისას, რომელიც ცხადდება არა ქვეყანაზე თავდასხმისას, არამედ გლობალური კატასტროფების დროს, რამე ეპიდემია თუ არის ქვეყანაში, ეკოლოგიური კატასტროფა და ა. აშ.

– პრეზიდენტს რჩება უფლებამოსილება, იყოს უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო ურთიერთობებშიც.

– პრეზიდენტი არის ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო ურთიერთობებში, მაგრამ მას არ აქვს დამოუკიდებლად მოქმედების უფლება. მისი ყველა გადაწყვეტილება და გადაწყვეტილების ჩარჩო, რა ფარგლებშიც უნდა იმოქმედოს, მთავრობასთან უნდა იყოს შეთანხმებული.

– სალომე ზურაბიშვილს არ აქვს გაცხადებული ოფიციალურად, რას გააკეთებს ამ მიმართულებით, თუმცა გაკეთდა ზურაბ აბაშიძის მხრიდან განცხადება რუსეთთან მოლაპარაკებაზე, იქამდე კი რუსულმა მხარემაც გააკეთა განცხადება. ხომ არ უნდა ვივარაუდოთ, რომ ამისთვის ემზადებიან და ამის გამოც ხომ არ შეარჩიეს ზურაბიშვილი, როგორც გამოცდილი დიპლომატი?

– მარჩიელობას ვერ დავიწყებ, მაგრამ მსგავსი რამ გამორიცხული არ არის. თავად მოლაპარაკების დაწყება კი არ არის სახიფათო, ხიფათი შეიძლება იყოს იმაში, რა წინაპირობით მიდიან მოლაპარაკებაზე, სად არის გავლებული ის წითელი ხაზები, რომლებიც მოლაპარაკების პროცესში საქართველოს მხარემ არავითარ შემთხვევაში არ უნდა გადაკვეთოს. აქ არის რისკი.

– რისკი სალომე ზურაბიშვილის იმ ცნობილი განცხადებებიდანაც ხომ არ იზრდება, რომლებიც მან აგვისტოს ომის დაწყების ეპიზოდზე გააკეთა?

– განცხადებები სხვა ტიპის რისკია. ეს იმ ტიპის რისკია, რომ ის შეიძლება გამოიყენოს რუსეთმა თავისი პოზიციების გასამაგრებლად საერთაშორისო ამა თუ იმ ფორუმსა თუ სასამართლოზე.

გაცილებით უფრო მაღალი რისკია ხელისუფლების უფლებამოსილებებში. ხელისუფლება მიდის ვიღაცასთან მოსალაპარაკებლად. თუ გვინდა. რომ შედეგის მომტანი იყოს, იქ ყოველთვის განისაზღვრება რაღაცა ჩარჩო – რას მოვითხოვთ ჩვენ და რას მოითხოვს მეორე მხარე, ასევე წინასწარ განსაზღვრა იმისა, სადამდე შეიძლება დათმობაზე წასვლა, ანუ რა შეიძლება დაითმოს და რისი დათმობა არ შეიძლება.

მთავრობა განსაზღვრავს ფარგლებს. თუ პრეზიდენტმა აწარმოა მოლაპარაკება, პრეზიდენტმა უნდა დაიცვას ეს ფარგლები. წინააღმდეგ შემთხვევაში პრეზიდენტი აღმოჩნდება კონსტიტუციის დამრღვევი. კონსტიტუცია ამბობს, რომ საერთაშორისო მოლაპარაკებას თუ საერთაშორისო ხელშეკრულების ხელმოწერას პრეზიდენტი მთავრობის თანხმობით ახორციელებს.

ასე რომ, რისკი არის არა პრეზიდენტის შეხედულებებში, არამედ მთავრობისა და პარლამენტის ქმედებებში. პარლამენტის იმიტომ, რომ პარლამენტის მიერ არის შექმნილი მთავრობა. პრეზიდენტის გამონათქვამების რისკი სხვა ტიპის რისკია და არა – ქვეყნის პოლიტიკისა.

„მაგთიკომი“ და „სილქნეტი“ ბაზრის 76%-ს აკონტროლებენ

შექმნილი ოლიგოპოლიური მდგომარეობა მოქალაქეებს აზარალებს

მობილური, ინტერნეტ და სატელევიზიო ბაზრის დაახლოებით 76%-ს „მაგთიკომი“ და „სილქნეტი“ აკონტროლებენ.

„საქართველოს ისტორიაში ყველაზე მსხვილი გარიგების შედეგად“ – ალბათ, ეს ფრაზა „სილქნეტის“ რეკლამაში ყველას მოუსმენია, მაგრამ, ცოტა თუ მიმხვდარა, რომ რეალურად კომპანია თავისივე სარეკლამო ბმულში იტყუება. აღნიშნული გარიგება სატელეკომუნიკაციო ბაზარზეა ყველაზე მსხვილი, თორემ საქართველოს ისტორია ში გაცილებით მსხვილი ბიზნესგარიგებაც არაერთი ყოფილა.

შორს რომ არ წავიდეთ, მაგალითად „თიბისი ბანკის“ მიერ „რესპუბლიკა ბანკის“ შეძენაც კი კმარა, მაშინ „თიბისი ბანკმა“ „ბანკ რესპუბლიკას“ აქციები 315 მილიონ ლარად შეიძინა.

აი, სატელეკომუნიკაციო ბაზარს რაც შეეხება, იქ ნამდვილად ყველაზე მსხვილი გარიგების მომსწრენი გავხდით, თუმცა ესეც რა გასაკვირია, ბაზარზე ხომ სულ 5 მსხვილი კომპანია იყო და მათგან უკვე მხოლოდ 3 დარჩა. ეს ფაქტი კი სასიხარულოზე მეტად სამწუხაროა და იმ წარსულში დაბრუნებას ჰგავს, როდესაც ოლიგოპოლიურ მდგომარეობაში მყოფი ორი კომპანია ბაზარზე სრულად აკონტროლებდა სიტუაციას, ტარიფებსაც შეთანხმებულად აწესებდა და არასდროს ამცირებდა მას.

თუმცა მივყვეთ მოვლენებს თანმიმდევრულად.

არსებული რეალობა ციფრებში

მას შემდეგ, რაც „მაგთიკომმა“ – „კავკასუს ონლაინი”, ხოლო „სილქნეტმა“ „ჯეოსელი“ შეიძინა, სატელეკომუნიკაციო ბაზარზე კონკურენცია, ფაქტობრივად, მოკვდა და ყველა ძირითად სექტორში მხოლოდ ორი კომპანია „მაგთიკომი“ და „სილქნეტი“ დარჩა. ერთადერთი, მობილური ოპერატორების ბაზარზე დღემდე ახერხებს „ბილაინი“ არსებობას, თუმცა რეალური კონკურენციის გაწევაზე ამ შემთხვევაში რთულია საუბარი.

მობილური ოპერატორები – 2018 წლის აგვისტოს მონაცემებით მობილური ოპერატორების ბაზარზე 4,952,493 აბონენტია რეგისტრირებული, საიდანაც „მაგთიკომს“ 1,995,949 (40.3%) აბონენტი ჰყავს, „ჯეოსელსა“ და „სილქნეტს“ ერთად 1,825,621 (36.8%) აბონენტი, ხოლო „ბილაინს“ 1,129,317 (22.8%) აბონენტი, მხოლოდ 0.1%-ია კომპანია „ჯიმობაილის“ წილი. როგორც არსებული მონაცემებიდან ჩანს, „ბილაინი“ საკმაოდ ჩამორჩება ბაზრის ორ მთავარ მოთამაშეს და თუ ბოლო თვეების რაოდენობას გადავხედავთ, მისი აბონენტების რაოდენობაც მუდმივად მცირდება.

ინტერნეტბაზარი– ინტერნეტბაზარზე ჯამში 795.000 აბონენტია და აქაც სრულად ლიდერობენ „მაგთიკომი“ 346,218 (43.5%) აბონენტით და „სილქნეტი“ 276,721 (34.8%) აბონენტით, ანუ ჯამში ამ ორი კომპანიის აბონენტების რაოდენობა 78.3%-ს შეადგენს და მხოლოდ 21.7%-ია დანარჩენი 400 მცირე ოპერატორის წილი ბაზარზე.

სატელევიზიო მომსახურება– რაც შეეხება სატელევიზიო მომსახურებას, აქ რეგისტრირებულია 608,190 აბონენტი, თუმცა ამ შემთხვევაშიც რეალურად ორი კომპანიაა ლიდერი, რა თქმა უნდა, „მაგთიკომი“ 291,984 (48%) აბონენტით და „სილქნეტი“ 213,661 (35%) აბონენტით, ანუ ჯამში ბაზრის 83% აქვთ დაპყრობილი, ხოლო დარჩენილ 135 კომპანიას ბაზრის მხოლოდ 17% აქვს ათვისებული.

დაბრუნება წარსულში

სატელეკომუნიკაციო ბაზარზე შექმნილი რეალობა წარსულში დაბრუნებას უფრო ჰგავს, ვიდრე ბაზრის განვითარებას.

წლების განმავლობაში ბაზარზე მხოლოდ ორი კომპანია, „მაგთიკომი“ და „ჯეოსელი“, მუდმივად მაღალი ფასებით ოპერირებდა. შემდეგ ბაზარზე რამდენიმე ახალი კომპანია – „ბილაინი“, „სილქნეტი“, „კავკასუს ონლაინი“ – გამოჩნდა და სატელეკომუნიკაციო ბაზარზე კონკურენციის ნიშნებიც გაჩნდა. გარკვეული პერიოდის განმავლობაში ფასების შემცირების ტენდენციაც დაიწყო, განსაკუთრებით მობილური ოპერატორების ბაზარზე, თუმცა ბოლო წლებში, ჯერ „მაგთიკომისა“ და „კავკასუს ონლაინის“ გაერთიანების, შემდეგ კი „სილქნეტისა“ და „ჯეოსელის“ შედეგად ბაზარზე ფაქტობრივად ორი კომპანია დარჩა, რამაც ოლიგოპოლიური მდგომარეობა შექმნა.

მხოლოდ გაერთიანება და ოლიგოპოლიური მდგომარეობა, ბუნებრივია, საგანგაშო არ არის, თუმცა თუ გავითვალისწინებთ ქართულ ბაზარს და „მაგთიკომისა“ და „სილქნეტის“ საქმიანობის პრაქტიკას წლების განმავლობაში, რეალობა ნამდვილად არასახარბიელია.

ციფრული ტექნოლოგიების განვითარების კვალდაკვალ და მსოფლიოში ფასების მუდმივი კლების მიუხედავად, საქართველოში სატელეკომუნიკაციო ბაზრის არცერთ სეგმენტში ფასების კლებას ფაქტობრივად ადგილი არ ჰქონია. პირიქით, მობილური ოპერატორების ბაზარზე (თუ არ გავითვალისწინებთ სხვადასხვა თემატურ პაკეტებს, რაზეც ხშირად ამახვილებენ კომპანიები ყურადღებას) ფასები გაიზარდა კიდეც და 1 წუთის ღირებულება კომპანიებისთვის დაწესებულ ზედა ზღვარს – 24 თეთრს გაუთანაბრდა. რაც შეეხება ინტერნეტბაზარს, უამრავ პრობლემასთან ერთად ამ სექტორშიც ფასები ბოლო წლების განმავლობაში უცვლელია და მიუხედავად იმისა, რომ დაახლოებით 1 წლის წინ, კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარემ განაცხადა, ბაზარზე ინტერნეტის ხარისხი და ფასები ერთმანეთს არ შეესაბამებაო, არანაირი შედეგი ამ განცხადებას არ მოჰყოლია.

მართალია, „სილქნეტმა“ „ჯეოსელის“ შეძენის შემდეგ დააანონსა, რომ გაერთიანებულ მომსახურებებს გაცილებით იაფად და უკეთესი პირობებით შესთავაზებდა მომხმარებელს, მაგრამ დაახლოებით იმავე ტიპის განცხადება იყო წლების წინ გაკეთებული „მაგთიკომის“ მიერ, როდესაც „კავკასუსი“ შეიძინა, თუმცა მას შემდეგ ფასებიც იგივე დარჩა, ხარისხი კი საკმაოდ გაუარესდა. შესაბამისად, არ არის გამორიცხული, იგივე სტილში გააგრძელოს საქმიანობა „სილქნეტმაც“ და საბოლოო ჯამში ბაზარზე შექმნილი ოლიგოპოლიური მდგომარეობა ისევ და ისევ მოქალაქეებს დააზარალებს, ხოლო კომპანიების მადას კიდევ უფრო მეტად გაზრდის.

არსებულ სიტუაციაში გამოსავალი კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის სწორი და ეფექტური მუშაობაა. მნიშვნელოვანია, რომ მან არ დაუშვას ორი კომპანიის გარიგება და მუდმივად აკონტროლოს ბაზარზე არსებული სიტუაცია. თუმცა, ამ მიმართულებითაც საკმაოდ არასახარბიელო მდგომარეობაა, ვინაიდან მარეგულირებელი, ფაქტობრივად, არ ერევა კომპანიების საქმიანობაში და საკმაოდ იშვიათად თუ აძლევს შენიშვნებს თუ მითითებებს კომპანიებს. შესაბამისად, დაველოდოთ რას გვიჩვენებს ახალი რეალობა და სატელეკომუნიკაციო ბაზარზე შექმნილი ოლიგოპოლიური მდგომარეობა.

კომერსანტი

მთავრობა ხორცპროდუქტების თურქეთში ექსპორტის გაზრდას გეგმავს

არის თუ არა ბიზნესი მზად ექსპორტისთვის

საქართველოდან თურქეთში ექსპორტირებული პროდუქციის ჩამონათვალი, შესაძლოა, გაიზარდოს.

საქმე ეხება ხორცპროდუქტების ექსპორტს.

აღნიშნულ საკითხზე საქართველოს ეკონომიკისა და თურქეთის სოფლის მეურნეობის მინისტრებმა უკვე ისაუბრეს და შეთანხმდნენ, რომ ექსპორტის დაწყებამდე თურქი სპეციალისტები ქართულ ხორცკომბინატებში ფიტოსანიტარიულ ნორმებს შეისწავლიან.

„ბიზნესპრესნიუსი“ დაინტერესდა, რამდენად მნიშვნელოვანია ადგილობრივი მწარმოებლებისთვის თურქეთის ბაზარი ხორცპროდუქტების ექსპორტის თვალსაზრისით. კომპანიების ნაწილი ინიციატივას დადებითად აფასებს და აცხადებს, რომ თურქეთის ბაზრით აუცილებლად დაინტერესდება, ნაწილი კი ამბობს, რომ საკითხზე ჩამოყალიბებული პოზიცია ჯერ არ აქვთ.

როგორც ხორცპროდუქტების კომპანია „ვაკის“ გენერალური დირექტორი ლევან ჩხაიძე აცხადებს, მიუხედავად იმისა, რომ მათი კომპანია ჯერჯერობით ექსპორტს მხოლოდ აზერბაიჯანის მიმართულებით ახორციელებს, თურქეთის ბაზრით აუცილებლად დაინტერესდებიან.

– მე ვფიქრობ, ადგილობრივი წარმოების კომპანიებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იქნება თურქეთის ბაზარზე შესვლა. მართალია, ჩვენ თურქეთის მიმართულებით ხორცპროდუქტების ექსპორტს არ ვახორციელებთ, მაგრამ ვცდილობთ ქვეყნის ფარგლებს გარეთ გასვლასაც და უკვე პატარა ნაბიჯები გადავდგით აზერბაიჯანის მიმართულებით. შევხედავთ, როგორ განვითარდება მოვლენები. რაც შეეხება თურქეთს, ჩვენი კომპანია ინიციატივით აუცილებლად დაინტერესდება , – აცხადებს ლევან ჩხაიძე.

თურქეთის ბაზრის მიმართ ინტერესს გამოხატავს „ლიდერფუდიც“. როგორც კომპანიის მარკეტინგის მენეჯერი ხვიჩა ჯღუთაშვილი აცხადებს, ამჟამად „ლიდერფუდი“ ექსპორტს არ ახორციელებს, თუმცა მზად არის, ხორცპროდუქტები ნებისმიერი სახის შემოწმებაზე გაატაროს და თურქეთის ბაზარზე შევიდეს.

– კომპანიას აქვს ინტერესი, რომ თურქეთის ბაზარზე შევიდეს. ჩვენ შეგვიძლია თურქეთთან ვითანამშრომლოთ, როგორც სახელმწიფო, ისე კომპანიების დონეზე. ჩამოვიდნენ, შეამოწმონ ხორცპროდუქტების ხარისხი, საწარმო, სამუშაო პირობები, ჩვენ სრულიად მზად ვართ, რომ პროდუქცია ექსპორტზე გავიტანოთ, მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად ექსპორტს საერთოდ არ ვახორციელებთ, – აცხადებს ხვიჩა ჯღუთაშვილი.

შეგახსენებთ, რომ თურქეთში ხორცპროდუქტების ექსპორტის გაზრდასთან დაკავშირებით განცხადება გიორგი ქობულიამ სტამბოლის ახალი აეროპორტის გახსნის ცერემონიაზე გააკეთა, სადაც ის თურქეთის სოფლის მეურნეობისა და მეტყევეობის მინისტრ ბექირ პაკდემირლის შეხვდა.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო საქართველოსა და თურქეთს შორის სოფლის მეურნეობის დარგში თანამშრომლობის გაღრმავებასა და გაფართოებას. გიორგი ქობულიას განცხადებით, თურქეთის სოფლის მეურნეობის მინისტრმა უკვე დაავალა სპეციალურ სამსახურს, რომ საქართველოში გამოიგზავნოს კომისია, რომელიც წამყვანი ადგილობრივი ხორცკომბინატების ფიტოსანიტარიულ ნორმებს შეისწავლის.

– ვვარაუდობთ და დიდი იმედი გვაქვს, რომ მივიღებთ სერტიფიცირებას და შეგვეძლება თურქეთში ხორცის ექსპორტის საგრძნობლად გაზრდა, – განაცხადა გიორგი ქობულიამ.

ბინის გაქირავებითა და კრიპტოვალუტის გაყიდვით მიღებული შემოსავალი

რა ქონებას ფლობს ირმა ნადირაშვილი

სახელმწიფო მოხელეების ხელფასების, ქონებრივი მდგომარეობის საკითხი მუდმივად განხილვის საგანია. „ბიზნესპრესნიუსი“ ამჯერად დეპუტატ ირმა ნადირაშვილის ქონებრივი მდგომარეობის შესახებ გთავაზობთ ინფორმაციას.

დეპუტატმა დეკლარაცია ბოლოს, რამდენიმე დღის წინ, მიმდინარე წლის 30 ოქტომბერს შეავსო.

როგორც დეკლარაციიდან ირკვევა, ირმა ნადირაშვილი და მისი მეუღლე დეკლარაციის შევსების მომენტში სხვადასხვა ღირებულების კრიპტოვალუტას ფლობდნენ. მათ შორის, ირმა ნადირაშვილმა გასულ წელს 20 დოლარად 20 ცალი ეთერიუმი შეიძინა.

დეპუტატი ფლობს 56 კვადრატული მეტრი ფართობის ბინას თბილისში და 44 კვ. მეტრის ბინას ბათუმში, რომელიც 2012 წელს 22.000 დოლარად აქვს შეძენილი.

მასვე დეკლარაციის შევსების მომენტში სხვადასხვა საბანკო ანგარიშზე 7,270.74 ლარი და 42 დოლარი ჰქონდა. ამასთან, ნადირაშვილის შემოსავალმა 2017 წელს პარლამენტის წევრობისას 62.373 ლარი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ დეპუტატმა წინა წელს ბინების გაქირავებით ჯამში 23.375 ლარის შემოსავალი მიიღო.

ირმა ნადირაშვილს ჰყავს მეუღლე და 1 შვილი.

მისი მეუღლე დავით დაღელაშვილი ფლობს 188 კვადრატული მეტრი ფართობის საცხოვრებელ სახლსა და 146 კვ მეტრის ბინას თბილისში; ასევე 387 კვ. მეტრის მიწის ნაკვეთს შინდისში. გარდა ამისა, მის საკუთრებაშია, მსუბუქი ავტომობილი „ტოიოტა პრიუსი“, რომელიც 2017 წელს 19.000 ლარად შეიძინა.

დაღელაშვილი ფლობს ასევე 2016 წელს 5.000 ევროდ შეძენილ 7 ათას ერთეულ და 2.500 ევროდ შეძენილ 100 ათას ვანკოინს, ასევე 4 ცალ ბიტკოინს, რომელიც 2016 წელს 2.800 დოლარად აქვს შეძენილი.

დავით დაღელაშვილი არის შპს „ჰოტელს დეველოპმენტ კომპანის“ 20%-იანი და შპს „საშუამავლო ჯგუფი საქართველოს“ 2%-იანი წილის მფლობელი, თუმცა, საწარმოთა საქმიანობით, წინა წელს შემოსავალი არ მიუღია. ამასთან, მისმა შემოსავალმა „გრინ სერვისში“ მუშაობისას გასულ წელს 3.150 ლარი შეადგინა.

გარდა ამისა, როგორც დეკლარაციაშია აღნიშნული, დაღელაშვილმა წინა წელს კრიპტოვალუტების საშუალებით 30.000 დოლარის შემოსავალი მიიღო.

საქართველოს მოსახლეობა შემოსავლის თითქმის ნახევარს საკვებში ხარჯავს

რამდენად ღარიბები ვართ – ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ქვეყნის ეკონომიკის მრავალ კრიტერიუმზე შეიძლება საუბარი.

ერთ-ერთი კრიტერიუმი, რომელიც საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობას კარგად ასახავს, ქვეყნის მოსახლეობის მთლიან დანახარჯებში საკვების წილია.

საქსტატის უკანასკნელი ანგარიშით, საქართველოს მოსახლეობა საკუთარი შემოსავლის 41.4%-ს საკვების შეძენაზე ხარჯავს, ანუ ყველაფერი დანარჩენისთვის – განათლებისთვის, ტრანსპორტისთვის, ჯანდაცვისთვის, ტანსაცმლისთვის, გართობისთვის და სხვა პროდუქტებისა და მომსახურებების შესაძენად მხოლოდ 58.6% იხარჯება.

იმის მიუხედავად, რომ, მსოფლიო ბანკის კლასიფიკაციით, საქართველო ზედა საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყნების რიგშია, მთლიან დანახარჯებში საკვების წილის მიხედვით, ის უფრო მეტად ღარიბი ქვეყნების ჯგუფს განეკუთვნება.

სურსათზე პროპორციულად ყველაზე მეტს ღარიბ ქვეყნებში ხარჯავენ.

მსოფლიო ბანკის მონაცემებით, უღარიბესი ქვეყნების ჯგუფში შინამეურნეობების მთლიან ხარჯებში საკვების წილი 53.9%-ს შეადგენს, ღარიბ ქვეყნებში – 42%-ს, საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებში – 34%-ს, მდიდარ ქვეყნებში კი – 20%-ს.

უმდიდრეს ქვეყნებში სურსათზე მთლიან ხარჯებში გაცილებით ნაკლები წილი მოდის. აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის მონაცემებით, საკვების დანახარჯები მოსახლეობის მთლიანი დანახარჯების მხოლოდ 6.4%-ია.

კონკრეტული ქვეყნების შემთხვევაში საკვების დანახარჯები ასე გამოიყურება: აშშ – 6.4%, სინგაპური – 6.7%, დიდი ბრიტანეთი – 8.2%, შვეიცარია – 8.7%, კანადა – 9.1%, ავსტრალია – 9.8%, ავსტრია – 9.9%.

აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის სტატისტიკის მიხედვით, საკვებზე დანახარჯების მაღალი წილი პირდაპირ კავშირშია სიღარიბესთან. აშშ-ის შემთხვევაში მოსახლეობის ყველაზე ღარიბი 20% სურსათზე ხარჯავს საკუთარი შემოსავლების 28%-ს.

საქსტატის მიხედვით, საქართველოში სიღარიბის მაჩვენებელი 21.9%-ია.

საინტერესოა, რომ მოსახლეობის მთლიან ხარჯებში საკვების წილის მაღალი ტემპით შემცირება საქართველოს მიერ სიღარიბის დაძლევის მხრივ განსაკუთრებულად აქტიურ წლებს ემთხვეოდა. 2007 წელს ის 56%-ს შეადგენდა, როდესაც 2010 წელს 46%-მდე შემცირდა. 2013-2017 წლებში აღნიშნული მაჩვენებელი მხოლოდ 2%-ით შემცირდა.

რიტუალური მკვლელობა თუ უბედური შემთხვევა

რამ იმსხვერპლა 21 წლის ანა იოსებიძე



რიტუალური მკვლელობა თუ უბედური შემთხვევა – ნინო ოქიტაშვილი ერთ წელზე მეტია, ეძებს პასუხს, რამ იმსხვერპლა მისი 21 წლის შვილი.

2017 წლის 18 თებერვალს ანა იოსებიძის დედას სიძემ დაურეკა და უთხრა, რომ მისი შვილი ცუდად გახდა. სახლში მისული მშობელი შვილის სანახავად არ შეუშვეს. მალევე სხვა ოთახში გასულ დედას უთხრეს, რომ ანა იოსებიძემ თავი მოიკლა და მე-11 სართულიდან გადახტა.

გარდაცვლილის ოჯახი ეჭვობს, რომ ანა იოსებიძე ჯერ წამებით მოკლეს, შემდეგ ცხედარი საცხოვრებელი კორპუსის ეზოში დანაშაულის დაფარვის მიზნით ჩაიტანეს და თვითმკვლელობის ინსცენირება მოახდინეს.

დაზარალებულების თქმით, გოგონა, სავარაუდოდ, რელიგიურ რიტუალს შესწირეს.

ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, გოგონას ათობით მძიმე დაზიანება სიცოცხლეშივე ჰქონდა მიყენებული.

ანა იოსებიძის თვითმკვლელობის ვერსიის თითქმის არავის სჯერა. მეზობლებს უკვე ერთ წელზე მეტია, აინტერესებთ, როგორ აღმოჩნდა ახალგაზრდა ქალის ცხედარი მაღალსართულიანი კორპუსიდან გადახტომის შემდეგ იმ ადგილზე, სადაც იოსებიძე მკვდარი იპოვეს.

საქმის მასალებით მთავარ კითხვებზე პასუხი ვერ მიიღო ვერც დამოუკიდებელმა ექსპერტმა.

ანა იოსებიძის ოჯახი არ არის ერთადერთი, რომელიც კახნიაძეებს ძალადობასა და არაადამიანურ მოპყრობაში ადანაშაულებს. ისტორია მეორდება მათი პირველი რძლის შემთხვევაშიც, რომელიც ასევე გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა.

ორივე ოჯახის ბრალდებებზე მკვლელობაში დადანაშაულებულ კახნიაძეებს საუბარი არ სურთ. მათი მტკიცებით, არცერთ შემთხვევასთან მათი დანაშაული არ იკვეთება და სიმართლე გამოძიებამ თქვა.

გამოძიება მტკიცებით ფორმაში ამბობს, რომ ანა იოსებიძემ თავი მოიკლა, თუმცა – რა მტკიცებულებებზე დაყრდნობით, ეს უცნობია.

„ოცნება მხარდამჭერებს ჩემს მიწებს ჰპირდება“

ლაითურში მცხოვრები ებრაელი ბიზნესმენი ასკაროვი კვლავ გაქურდეს



– მეუბნებიან, რომ მმართველი პარტია ადგილობრივებს. რომლებსაც მიწები არა აქვთ, ჰპირდება, რომ თუ არჩევნებში ხმას მისცემენ, ჩემს მიწებს დაურიგებენ. ბოლო ყაჩაღური თავდასხმის შემდეგ დავტოვე ლაითური და სხვაგან გადავედი საცხოვრებლად, რადგან მემუქრებოდნენ და მოითხოვდნენ, რომ ასე მოვქცეულიყავი, თუმცა ახლა უკვე ქონების წართმევაც უნდათ, – აცხადებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ლაითურში მცხოვრები ებრაელი ბიზნესმენი იგორ ასკაროვი, რომლის საცხოვრებელი სახლი და კარმიდამო უცნობმა პირებმა 3 ნოემბერს გაქურდეს.

კრიმინალებმა ასკაროვის კუთვნილი შენობა-ნაგებობები, ასევე მისი კერძო მეურნეობა მთლიანად გამოიყვანეს მწყობრიდან.

ებრაელი ბიზნესმენის თქმით, წაღებულია ათეული ტონა ჯართი, დაზგები, საყოფაცხოვრებო ტექნიკა, რკინის ღობეები, მთლიანად გამოსულია მწყობრიდან მეურნეობა.

დაზარალებული ამბობს, რომ ის პოლიციას არ ენდობა, რადგან მასზე ბოლო 4 წელია, თავდასხმები და ყაჩაღობები ხდება, პოლიცია კი ამ საქმეებს მიზანმიმართულად არ იძიებს

– შევიძინე 2012 წელს 50 ჰექტარი მიწა, დავიწყე მეურნეობის მშენებლობა, მესაქონლეობა, მეფუტკრეობა, მქონდა კენკროვანი ჯიშის კულტურათა პლანტაციები, თუმცა თქვენი მმართველი პარტია და ხელისუფლება ხომ ასე იქცევა – ჯერ შემოგვიტყუებენ, მერე გვძარცვავენ და გვაიძულებენ, წავიდეთ. 2 მილიონი დოლარი ჩავდე აქ, მეუბნებიან, რომ მმართველი პარტია ადგილობრივებს რომლებსაც მიწები არა აქვთ, პირდება, რომ თუ არჩევნებში ხმას მისცემენ, ჩემს მიწებს დაურიგებენ. ბოლო ყაჩაღური თავდასხმის შემდეგ დავტოვე ლაითური და სხვაგან გადავედი საცხოვრებლად, რადგან მემუქრებოდნენ და მოითხოვდნენ, რომ ასე მოვქცეულიყავი, თუმცა ახლა უკვე ქონების წართმევაც უნდათ, – ამბობს ასკაროვი.

მიმდინარე წლის გაზაფხულზე ებრაელ ბიზნესმენს საკუთარ საცხოვრებელ სახლში თავს ყაჩაღები დაესხნენ. ის და მასთან ერთად მცხოვრები ქალი ბლაგვი საგნის გამოყენებით სასტიკად ცემეს.

ეს საქმე არ გახსნილა.

მანამდე კი იგორ ასკაროვი ხშირად აკეთებდა განცხადებებს, რომ ის იდევნებოდა და მასზე ხორციელდებოდა ტერორი, რომელშიც, მისი ვარაუდით, ადგილობრივი პოლიციის უფროსობა იყო ჩარეული.

„პროკურატურას თუ მძევალი სჭირდება, მე დამიჭირეთ და ლაშა გოგია გაუშვით“

ლაშა გოგიასა და გია გულორდავას წინასწარი პატიმრობა შეეფარდათ

3 ნოემბერს ზუგდიდის ყოფილ მერს და მის მოადგილეს თბილისის საქალაქო სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობა მიუსაჯა.

ლაშა გოგიას და გია გულორდავას ბრალი ოფიციალურად 2 ნოემბერს წარუდგინეს. გამოძიება მათ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღებას ედავება.

ყოფილი მაღალჩინოსნებისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის მისჯას პროკურატურა მოითხოვდა. დაკავებულების ადვოკატები კი ამტკიცებდნენ, რომ ბრალდების მხარეს მათი ბრალეულობის დამადასტურებელი მტკიცებულებები არ აქვს.

– ლაშა გოგია და გია გულორდავა დაკავებული არიან წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე. მოცემულ საქმეზე სისტემატურად მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები, მათ შორის დაიკითხა ათეულობით მოწმე და ჩატარდა არაერთი ექსპერტიზა. ჩვენ მიერ მოპოვებულია გავრცელებული ჩანაწერის ორიგინალი ვერსია, რომელზეც დაინიშნა ექსპერტიზა. ექსპერტიზის დასკვნით, რომელიც ოქტომბრის ბოლოს მოვიპოვეთ, დადასტურდა მისი ავთენტურობა.

მტკიცებულებითი სტანდარტის შექმნის შემდგომ დაუყოვნებლივ მივმართეთ სასამართლოს შუამდგომლობით, რომ მომხდარიყო ლაშა გოგიასა და გია გულორდავას დაკავება. ბრალდების მხარე მოითხოვს, რომ ორივე ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახეთ გამოყენებული იყოს პატიმრობა იქიდან გამომდინარე, რომ საქმეში არსებობს პირდაპირი მტკიცებულებები, – განაცხადა სასამართლოზე პროკურორმა ბექა ბეჟაშვილმა.

პროცესზე სიტყვით ბრალდებულებიც გამოვიდნენ.

– თუ მძევალი სჭირდება პროკურატურას, მე დავრჩები პატიმრობაში და გთხოვთ, ლაშა გოგია გაათავისუფლოთ. მას არავითარი მონაწილეობა არ მიუღია არანაირ მოლაპარაკებაში, – მიმართა გია გულორდავამ მოსამართლეს.

მოსამართლეს მიმართა ლაშა გოგიამაც და საქმეში არსებულ კითხვის ნიშნებზე ისაუბრა.

– ადამიანმა, რომელმაც სახელმწიფო მოატყუა, აიღო რუსეთის მოქალაქეობა და არ გავიდა საქართველოს მოქალაქეობიდან. ადამიანი დღეს არც რუსეთის მოქალაქეა და მაშასადამე არც საქართველოსი. ის სხვა გვარით ცხოვრობს რუსეთში და სხვა პასპორტი აქვს და საქართველოში კიდევ სხვა სახელი და გვარი. არსებობს საერთოდ ეს ადამიანი თუ არ არსებობს? – განაცხადა ლაშა გოგიამ.

საქმის პროკურორმა ბექა ბეჟაშვილმა განმარტა, რომ გამოძიების მიერ წარმოდგენილი იყო ყველა საჭირო მტკიცებულება იმისთვის, რომ ბრალეულობა დადასტურებულიყო და დაკავებული პირები პატიმრობაში დარჩენილიყვნენ.

– საქმეში არის როგორც მოწმეთა ჩვენებები, პირდაპირი მტკიცებულებებით, ასევე – აუდიოჩანაწერი, გამოთხოვილი ინფორმაციები, ქვითრები, რომლებიც ადასტურებს, მაგალითად, ფულადი თანხის ჩარიცხვებს. წარმოდგენილია ექსპერტიზის დასკვნა, – განაცხადა პროკურორმა.

ლაშა გოგიასა და გია გულორდავას ადვოკატები ამბობენ, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით, მათი დაცვის ქვეშ მყოფი პირების ბრალეულობა არ დასტურდება და არც დაკავებულების მიმალვის საშიშროება არსებობს.

– დაახლოებით თვე-ნახევრის წინ დაიწყო გამოძიება და ამ პერიოდის განმავლობაში ლაშა გოგიას არ უცდია, რაიმე სახით ხელი შეეშალა გამოძიებისთვის, – აცხადებს ლაშა გოგიას ადვოკატი მერაბ მამულაძე.

სუს-ის ანტიკორუფციულმა საგენტომ გოგია და გულორდავა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღების ბრალდებით პირველ ნოემბერს დააკავა.

პროკურატურის ინფორმაციით, ექსპერტიზამ დაადასტურა, რომ გავრცელებული აუდიოჩანაწერი, სადაც დაკავებულების მიერ ქრთამის აღებაზეა საუბარი, ავთენტურია.

ლიბერთიმ ეროვნულ ბიბლიოთეკასთან ერთად ახალი სოციალური პროექტი დაიწყო

1 ნოემბრიდან ლიბერთიმ ახალი სოციალური პროექტი დაიწყო, რომლის თანახმად, 60 წელს გადაცილებული პენსიონერები კომპიუტერითა და ინტერნეტით სარგებლობის ერთთვიან კურსს გაივლიან.

აღნიშნული პროგრამა უფროს თაობას საშუალებას აძლევს, შეისწავლოს კომპიუტერისა და ინტერნეტის გამოყენება და იყოს უფრო მეტად ინტეგრირებული თანამედროვე ცხოვრებაში.

კურსის მონაწილეები კომპიუტერის ზოგად შესაძლებლობებს, ინტერნეტის, ელ-ფოსტის, სოციალური ქსელებისა და სმარტფონების ფუნქციების გამოყენებას სრულიად უფასოდ შეისწავლიან.

პირველ ეტაპზე დარეგისტრირდა სულ 338 პენსიონერი. სწავლება მოხდება რამდენიმე ჯგუფად და წლის ბოლომდე გაგრძელდება ლიბერთის მიერ სპეციალურად შექმნილ დარბაზში – Liberty Digital Hall, რომელიც 2016 წლიდან ფუნქციონირებს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მე-3 კორპუსში.

– ძალიან მნიშვნელოვანი და საეტაპო პროექტია. ერთგვარი ხიდი თაობებს შორის – ტექნოლოგიების მეშვეობით. სასიხარულოა, რომ ინიციატივას დიდი გამოხმაურება მოჰყვა და უკვე გულისხმობს სერიოზულ პერსპექტივას, რაც სახელმწიფო და კერძო ინსტიტუტების კარგი თანამშრომლობის შედეგია, – განაცხადა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალურმა დირექტორმა, მწერალმა გიორგი კეკელიძემ.

– ჩვენი მიზანია, დავეხმაროთ უფროს თაობას და ხელი შევუწყოთ მათ ინტეგრაციას თანამედროვე სამყაროსთან და მის განუყოფელ – ციფრულ ტექნოლოგიებთან. ჩვენ მთელი წლის განმავლობაში არაერთი სოციალური პროექტი განვახორციელეთ, თუმცა ამ კონკრეტული სეგმენტის საგანმანათლებლო პროექტი ერთგვარი ექსპერიმენტია, რომელიც, ვიმედოვნებთ, გაამართლებს და მსგავს პროექტებს მეტი მასშტაბურობით განვახორციელებთ, – განაცხადა ლიბერთის გენერალური დირექტორის მოადგილე ლევან თხელიძემ.

ზესტაფონის ავტოსადგურის მეპატრონემ საკუთარ ძმას ბიზნესი „გია სამტრედსკის“ მეშვეობით წაართვა

სამართალდამცავებმა ქურდული სამყაროს წევრობისა და კანონიერი ქურდისადმი მიმართვის ბრალდებით 3 პირი დააკავეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, სასამართლოს განჩინების საფუძველზე, ქუთაისში, წყალტუბოსა და ზესტაფონში დაკავებული არიან: 1968 წელს დაბადებული, კრიმინალური ავტორიტეტი ი. ფ., 1967 წელს დაბადებული ე. ჩ. და 1962 წელს დაბადებული გ. გ. ჩადენილი დანაშაული 9-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

როგორც შსს-ს განცხადებაშია ნათქვამი, მოქალაქე შეეცადა, საკუთარი ძმის ბიზნესი ქურდული სამყაროს წევრების ჩარევის შედეგად მიესაკუთრებინა.

„გამოძიებამ დაადგინა, რომ გ. გ. და მისი ძმა – 1965 წელს დაბადებული რ. გ. ქალაქ ზესტაფონში ფლობენ ავტოსადგურებს, საიდანაც მიკროავტობუსებით ახდენდნენ მგზავრების გადაყვანას სხვადასხვა მიმართულებით. მიმდინარე წლის ოქტომბერში გ.გ.-მ საკუთარი შემოსავლების გაზრდის მიზნით გადაწყვიტა, კანონიერი ქურდების დახმარებით ხელში ჩაეგდო თავისი ძმის ბიზნესი.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად, გ.გ.-მ მასთან მომუშავე, „ქურდული სამყაროს“ წევრის – ე. ჩ.-ს მეშვეობით დასახმარებლად მიმართა, ასევე, „ქურდული სამყაროს“ წევრს – ი. ფ.-ს, რომელმაც თავის მხრივ გ.გ. საზღვარგარეთ მყოფ „კანონიერ ქურდ“ – გია ცხვარაძესთან – მეტსახელად „გია სამტრედსკის“, იმავე „ბაბუს“ დააკავშირა, რომლის გადაწყვეტილებით, გ.გ.-მ, ი. ფ.-მ და ე. ჩ.-მ შეძლეს გ.გ.-ს ძმასთან მომუშავე მიკროავტობუსის მძღოლების დაშინება. კანონიერი ქურდის გადაწყვეტილების შეუსრულებლობისთვის ბრალდებულები მძღოლებს ფიზიკური ანგარიშსწორებით დაემუქრნენ, რის გამოც მძღოლები იძულებული გახდნენ, მუშაობა შეეწყვიტათ.

შედეგად გ.გ.-მ ძმის ბიზნესი მიისაკუთრა. დახმარებისთვის გ.გ.-სგან „კანონიერმა ქურდმა“ გია ცხვარაძემ, ი.ფ.-მ და ე.ჩ.-მ მატერიალური სარგებელი მიიღეს.

გამოძიება ქურდული სამყაროს წევრობისა და კანონიერი ქურდისადმი მიმართვის ფაქტებზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე 1 პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილითა და 223-ე 4 პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს“, – ნათქვამია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ზვიად დევდარიანს ქალების სექსუალური შევიწროება დაუდასტურდა

რას წერს საია

ზვიად დევდარიანის მიერ სექსუალური შევიწროება დადასტურდა.

ამის შესახებ ინფორმაციას „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ ავრცელებს.

– საია იცავდა ქალს, რომელმაც ზვიად დევდარიანი სექსუალურ შევიწროებაში ამხილა და სახალხო დამცველს სექსუალური შევიწროების დადგენის მიზნით მიმართა. ზვიად დევდარიანის მიერ სექსუალური შევიწროების შემთხვევებზე ქალები საჯაროდ 2018 წლის 17 მარტს ალაპარაკდნენ.

რამდენიმე თვის განმავლობაში სახალხო დამცველი სწავლობდა საქმის ფაქტობრივ გარემოებებს და სამ პირთან მიმართებით (ამათგან ერთის ინტერესებს საია იცავდა) დაადგინა ზვიად დევდარიანის მიერ სექსუალური შევიწროებით გამოხატული სქესის ნიშნით დისკრიმინაცია. 01 ნოემბერს მიღებულ რეკომენდაციაში სახალხო დამცველი მიუთითებს, რომ სექსუალური შევიწროების ფაქტის დადგენისთვის არ არის აუცილებელი მოტივის არსებობა, არამედ, სექსუალური ხასიათის ქცევა თავისთავად შეიძლება, შეურაცხმყოფელი იყოს მსხვერპლისთვის, შემავიწროებლის განზრახვის მიუხედავად.

სახალხო დამცველის განმარტებით, ზვიად დევდარიანს უნდა სცოდნოდა, რომ მისი სექსუალური ქცევა – კომენტარი თუ შეხება, შესაძლოა შეურაცხმყოფელი ყოფილიყო განმცხადებელთათვის. პირდაპირი მტკიცებულებების არარსებობის პირობებშიც კი სამივე განმცხადებლის მიმართ ზვიად დევდარიანის ქცევისა და გარემოებების საერთო მახასიათებლის გათვალისწინებით, სახალხო დამცველს წარმოეშვა სექსუალური შევიწროების განხორციელების ვარაუდი. მოპასუხე მხარის მიერ წარმოდგენილი არგუმენტაცია და მტკიცებულებები არ აღმოჩნდა საკმარისი სექსუალური შევიწროების ვარაუდის გასაქარწყლებლად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველმა დაადგინა, რომ ზვიად დევდარიანის მხრიდან ადგილი ჰქონდა სექსუალური ხასიათის ვერბალურ და ფიზიკურ ქცევას, რომელმაც მსხვერპლ ქალებს შეუქმნა დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი გარემო.

სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა ზვიად დევდარიანს, რომ მომავალში, პროფესიულ თუ სხვა სახის ურთიერთობებში, არ განახორციელოს სექსუალური შევიწროება და არ შეუქმნას ინდივიდებს შეურაცხმყოფელი, დამამცირებელი და ადამიანის ღირსებისთვის შეუსაბამო გარემო.

სექსუალური შევიწროება არის ადამიანის უფლებათა დარღვევა და ქალის დისკრიმინაციის ერთ-ერთი ყველაზე დაფარული, სტრუქტურული ფორმა. საია იმედოვნებს, რომ სახალხო დამცველის აღნიშნული დასკვნა ხელს შეუწყობს სექსუალური შევიწროების შესახებ საკანონმდებლო რეგულირების მიღებას და მოუწოდებს საქართველოს პარლამენტს, დროულად შექმნას სექსუალური შევიწროების პრევენციისა და აღკვეთის ეფექტიანი მექანიზმები როგორც სამუშაო ადგილას, ისე საჯარო სივრცეში, განათლების, სპორტისა და სხვა სფეროებში, – ნათქვამია საიას ინფორმაციაში.

„ცეცხლი მოუკიდა და მიიმალა“

სტამბოლის ბაზრის დაწვისთვის 19 წლის ბიჭი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1999 წელს დაბადებული დ. მ. სხვისი ნივთის დაზიანების ან განადგურების ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დ.მ.-მ მიმდინარე წლის 1 ნოემბერს, ღამის საათებში, ქალაქ რუსთავში მდებარე „სტამბული ბაზრის“ მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ შპს „ლურჯ მარკეტს“ ცეცხლი მოუკიდა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. ხანძრის შედეგად დაიწვა 800 კვ.მ. ფართობზე განლაგებული შენობა-ნაგებობა და ეზოში გაჩერებული მიკროავტობუსი. ხანძარმა ზარალი ბაზარში მოვაჭრე 50-მდე მოქალაქეს მიაყენა.

გამოძიება ცეცხლის წაკიდებით ნივთის დაზიანების ან განადგურების ფაქტზე მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილით.

პროკურატურამ ბრალი „ოცნების“ დეპუტატის ოჯახის წევრებსაც წარუდგინა

პროკურატურამ ახალქალაქში მომხდარ ინციდენტზე ბრალი „ქართული ოცნების“ დეპუტატის ოჯახის წევრებსაც წარუდგინა.

5 ბრალდებულს შორის არიან ენზელ მკონიანის შვილი – კარაპეტ მკოიანი, ძმა – მარტუმ მკოიანი და ძმისშვილი – ედუარდ მკოიანი.

ხუთივე პირის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე ძალადობის მუხლით აღიძრა.

დავით ქმოსტელის მკვლელობაში ბრალდებული ლევან ყანდორელაშვილი და გიორგი ჭალელიშვილი ნაფიცმა მსაჯულებმა გაამართლეს

ნაფიცმა მსაჯულებმა დავით ქმოსტელის, იმავე „ძივითას“ მკვლელობის საქმეზე გამამართლებელი განაჩენი გამოიტანეს.

ეს ნიშნავს, რომ მსაჯულებმა საქმეში ბრალდებული ლევან ყანდორელაშვილი და გიორგი ჭალელიშვილი ყველა ბრალდებაში უდანაშაულოდ ცნეს.

ვერდიქტი საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

დავით ქმოსტელი, იგივე „ძივითა“, თბილისში, ნაძალადევის რაიონში, 4 თებერვალს ცეცხლსასროლი იარაღიდან მრავლობითი ჭრილობის მიყენების შედეგად ადგილზე გარდაიცვალა.

ის მკვლელობის დღეს ნათესავთან იყო.

მკვლელობიდან მეორე დღეს სამართალდამცველებმა ლევან ყანდორელაშვილი და გიგა ჭალელიშვილი დააკავეს.

დაკავებულებმა ბრალი არ აღიარეს.

გამოძიების ვერსიით, ლევან ყანდორელაშვილსა და დავით ქმოსტელს უთანხმოება ჰქონდათ და მკვლელობაც შურისძიების ნიადაგზე მოხდა.

მამუკა ხეცურიანის დაკავების გამო ზვიად გამსახურდიას ვაჟი, გიორგი გამსახურდია, დააჯილდოვეს

პოლონეთის ტერიტორიაზე 20-დან 21 ოქტომბრის ღამით მომხდარ მკვლელობაში მთავარი ეჭვმიტანილის მამუკა ხეცურიანის დაკავებისთვის შექმნილი პოლონეთ-უკრაინა-საქართველოს ერთობლივი საპოლიციო ჯგუფის წევრი, პოლონეთის რესპუბლიკაში საქართველოს პოლიციის ატაშე, საქართველოს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ვაჟი, გიორგი გამსახურდია, დააჯილდოვეს დაკავების ოპერაციაში შეტანილი წვლილისთვის. ამის შესახებ „აიპრესი“ იუწყება.

სამუშაო ჯგუფის წევრებმა ეჭვმიტანილი უკრაინის დედაქალაქში დააკავეს.

– ამჟამად დაკავებულის პოლონეთში ექსტრადიციის საკითხი განიხილება, – აცხადებს უკრაინის ნაციონალური პოლიციის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, კრიმინალური პოლიციის უფროსი ვიაჩესლავ აბროსკინი.

უკრაინის ნაციონალური პოლიციის თავმჯდომარე სერგეი კნიაზევისა და პოლონეთის რესპუბლიკის პოლიციის კომენდანტის პირველი მოადგილის ანჟეი შიმჩიკის სახელით ვიაჩესლავ აბროსკინმა უცხოელ პოლიციელებს ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის მადლობა გადაუხადა და სიმბოლური საპატიო ჯილდოები გადასცა.

თავის მხრივ, პოლონეთის პოლიციის მეკავშირე ოფიცერმა აგრეთვე გადაუხადა მადლობა უკრაინელ და ქართველ პოლიციელებს მძიმე დანაშაულში ეჭვმიტანილის დაკავებაში გაწეული დახმარებისთვის.

შეგახსენებთ, ლოძში 28 წლის პაულინა დინკოვსკას მკვლელობის ფაქტზე 2 ქართველი დააკავეს, მესამეზე კი ძებნა გამოცხადდა.

ქალი 20 ოქტომბერს გაუჩინარდა და მისი ცხედარი 6 დღის შემდეგ იპოვეს.

ქუთაისიდან თბილისში მომავალმა მატარებელმა მამაკაცი გაიტანა და მოკლა

გომი-აგარის გადასარბენზე მამაკაცი მატარებლის დაჯახების შედეგად დაიღუპა. „საქართველოს რკინიგზაში“ აცხადებენ, რომ შემთხვევა დაახლოებით 3 ნოემბერს, დილით 09:30 საათზე მოხდა.

„დღეს დილით, დაახლოებით 09:30 საათზე, გომი-აგარის გადასარბენზე მამაკაცი ლიანდაგზე გადადიოდა, რომელსაც ქუთაისიდან თბილისის მიმართულებით მოძრავი მატარებელი დაეჯახა. მოქალაქე ადგილზე გარდაიცვალა. საგამოძიებო მოქმედებებს ატარებენ სამართალდამცავი ორგანოები.

„საქართველოს რკინიგზა“ ღრმა მწუხარებას გამოთქვამს მომხდარის გამო და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს. მომხდარის გამო შეყოვნდება ბორჯომი-თბილისის (№685) მიმართულებით მოძრავი მატარებელი, რის გამოც „საქართველოს რკინიგზა“ მგზავრებს ბოდიშს უხდის“, – ნათქვამია განცხადებაში.

„ნიუპოსტის“ კორესპონდენტის ცნობით, მატარებელი ამ დრომდე გაჩერებულია, ადგილზე საგამოძიებო სამუშაოები მიმდინარეობს. როგორც „ნიუპოსტს“ შსს-ში განუცხადეს, მომხდართან დაკავშირებით გამოძიება 275 მუხლის მესამე ნაწილით დაიწყო.

მარნეულის მერვე სკოლა გაქურდეს

მარნეულის მერვე სკოლა გაქურდეს. წაღებულია სამი კომპიუტერი და სხვადასხვა სახის ტექნიკა.

საქმეზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე, ქურდობის მუხლით მიმდინარეობს.

პეკინზე სამარშრუტო ტაქსი ქვეითს დაეჯახა

თბილისში, პეკინის გამზირზე, სამარშრუტო ტაქსი ქვეითად მოსიარულეს დაეჯახა.

თვითმხილველების ინფორმაციით, მამაკაცი ბასლეინზე გადადიოდა, როდესაც მას სამარშრუტო ტაქსი დაეჯახა. ადგილზე მობილიზებული იყო სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადა, რომელმაც დაშავებული საავადმყოფოში გადაიყვანა.

ადგილზე საპატრულო პოლიციის თანამშრომლები მუშაობდნენ.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

ერდოღანი: „თურქეთი რუსეთთან ყირიმის მიერთებას არასდროს ცნობს“

პოროშენკომ მსოფლიო პატრიარქთან ხელშეკრულება დადო

უკრაინული ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის აღიარების საქმე დასკვნით ფაზაში შევიდა. როგორც აღინიშნა, უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია (კიევის საპატრიარქოსი) ახლა უშუალოდ მსოფლიო პატრიარქს ემორჩილება.

ამას როგორც მოსკოვის საპატრიარქოს, ასევე პუტინის აგრესიული რეაქცია მოჰყვა. მოსკოვის საპატრიარქომ კონსტანტინეპოლთან ურთიერთობები გაწყვიტა. პუტინმა მომხდარი შემდეგნაირად შეაფასა: უკრაინული ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარება აშშ-ის მიერ რუსეთის მიმართ ინტრიგების შედეგია. მან თქვა, რომ თუ საჭირო გახდა, მართლმადიდებელ ძმებს უკრაინაში იარაღითაც დაეხმარება.

უკრაინული ეკლესიის აღიარების საკითხი გადამწყვეტ ფაზაშია შესული. ნოემბერში ჩატარდება კიევის საეკლესიო კრება, რომელზეც ოფიციალურად გაფორმდება ერთიანი მართლმადიდებელი უკრაინული ეკლესიის შექმნა. ის კონსტანტინეპოლს ავტონომიის თხოვნით მიმართავს.

რადგან რუსეთი უკრაინის სახელმწიფო პროცესებში აქტიურად ერევა, მომხდარი-სადმი გულგრილი ვერც პეტრო პოროშენკო იქნება. ახლა მას კიევის მსოფლიო პატრიარქის მხარდაჭერა ჰაერივით სჭირდება. უკრაინის პრეზიდენტიც სტამბოლში ჩავიდა.

მსოფლიო პატრიარქმა ბართლომეუსმა და პოროშენკომ ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომელშიც განსაზღვრულია უკრაინული სახელმწიფოსა და მსოფლიო პატრიარქის თანამშრომლობა. მსოფლიო პატრიარქმა კიდევ ერთხელ დააფიქსირა თავისი მხარდაჭერა ერთიანი დამოუკიდებელი მართლმადიდებელი უკრაინული ეკლესიის შექმნაში.

– უკრაინული ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარება უკრაინაში მცხოვრებ მართლმადიდებლებს გააერთიანებს. მართლმადიდებელთა 87% ავტოკეფალიას მხარს უჭერს, – თქვა ბართლომეუსმა.

მსოფლიო პატრიარქმა ხაზი გაუსვა, რომ საეკლესიო კრების მოწვევას მხარს აქტიურად დაუჭერს. ამ კრებაზე გაერთიანებული უკრაინული ეკლესიის წინამძღვარსაც აირჩევენ. ბართლომეუსი მას ტომოსს (ავტოკეფალიის დამადასტურებელი მოწმობა) პირადად გადასცემს.

სტამბოლში ჩასული უკრაინის პრეზიდენტი თავის თურქ კოლეგა რეჯეპ ერდოღანსაც შეხვდა. ხელი მოეწერა შეთანხმებას უკრაინისა და თურქეთის ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავების შესახებ. ერდოღანმა კვლავ გაუსვა ხაზი იმას, რომ თურქეთი უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობას პატივს სცემს.

– რუსეთის შემადგენლობაში ყირიმის შესვლის კანონიერებას ჩვენ არასოდეს ვცნობთ, – თქვა ერდოღანმა.

უკრაინის პრეზიდენტმა თავის თურქ კოლეგას მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა და გამოთქვა იმედი, რომ თურქეთი აქტიურ მონაწილეობას მიიღებს იმ სამშვიდობო მისიაში, რომელიც დონბასში შედგება.

ნეთანიაჰუმ ტრამპს ირანის სანქციებისთვის მადლობა გადაუხადა

ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპს ირანისთვის სანქციების დაწესებისთვის მადლობა გადაუხადა.

– წლების განმავლობაში მე მოვუწოდებდი, რომ ირანის მკვლელი ტერორისტული რეჟიმის წინააღმდეგ, რომელიც მსოფლიოს საფრთხეს უქმნის, სანქციების სრული აღდგენა მომხდარიყო. თავდაპირველი სანქციების ეფექტი უკვე იგრძნობა: ირანის ეროვნული ვალუტა გაუფასურდა, ირანის ეკონომიკა შესუსტებულია და სანქციების შედეგები აშკარაა. მადლობა, პრეზიდენტო ტრამპო, ამ ისტორიული გადაწყვეტილებისთვის, – განაცხადა ისრაელის პრემიერ-მინისტრმა.

შეგახსენებთ, რომ 8 მაისს აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ირანის ბირთვული პროგრამის შესახებ შეთანხმებიდან გამოსვლის თაობაზე განცხადება გააკეთა. მან ასევე აღნიშნა, რომ ირანს ყველა ის სანქცია დაუწესდება, რომლებიც აღნიშნული შეთანხმების ფარგლებში იყო გაუქმებული.

სანქციების პირველი ნაწილის აღდგენა 7 აგვისტოს მოხდა, ხოლო დარჩენილი ნაწილი დღეიდან ამოქმედდება.

ეგვიპტეში რუსული სამხედრო თვითმფრინავი ჩამოვარდა

ეგვიპტეში რუსულმა სამხედრო თვითმფრინავმა მიგ 120-მა საწვრთნელი ფრენისას კატასტროფა განიცადა.

აღნიშნული თვითმფრინავი რუსეთმა ეგვიპტეს 2018 წელს მიჰყიდა.

სროლა იოგის სტუდიაში

ქალაქ ტალაჰასში (ფლორიდის შტატი) ტრაგედია მოხდა. იქაურ იოგის სტუდიაში უცნობი მამაკაცი შეიჭრა და სროლა ატეხა. შედეგად 2 ადამიანი დაიღუპა, 4 დაიჭრა.

თავდამსხმელმა თავი მოიკლა.

მსროლელის ვინაობა დადგენილია. ეს 40 წლის სკოტ ბეიერია. მომხდარის გამო აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მიმდინარეობს გამოძიება.

სიცილიაში წყალდიდობას 10 ადამიანი ემსხვერპლა

იტალიაში, სიცილიაში, ძლიერი წვიმების შედეგად გამოწვეული წყალდიდობის გამო, სულ მცირე, 10 ადამიანი დაიღუპა.

არსებული ინფორმაციით, ათიდან ცხრა დაღუპული ერთი ოჯახის წევრები იყვნენ. ისინი კასტელდაჩას კომუნაში, მდინარის სანაპიროსთან აღმოაჩინეს. პოლიციელები კიდევ ორ ადამიანს ეძებენ, რომლებიც უგზო-უკვლოდ დაკარგულად მიიჩნევიან.

3 ნოემბერს იტალიის სამოქალაქო დაცვის სააგენტომ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ძლიერი წვიმისა და წყალდიდობის შედეგად ქვეყანაში დაღუპულთა რიცხვმა 20-ს მიაღწია.

ძლიერი წვიმებისა და წყალდიდობის გამო იტალიაში ხელისუფლებამ განგაშის ყველაზე მაღალი, „წითელი“ დონე გამოაცხადა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ჯაზეიდოსკოპი

იტალიურმა მაფიამ პოლიციის ძაღლის თავისთვის ჯილდო დააწესა

იტალიის ნეაპოლურმა დანაშაულებრივმა ორგანიზაცია „კამორამ“ ხუთი ათასი ევრო დააწესა ჯილდოდ პოლიციის ძაღლის, სახელად პოჩოს თავისთვის, რომელიც ნარკოტიკების ძებნითაა დაკავებული.

პოლიციაში სამსახურის პერიოდში ძაღლმა ორ ტონაზე მეტი ნარკოტიკი აღმოაჩინა, რის შედეგადაც მაფიოზებმა რამდენი-

მე მილიონი ევრო დაკარგეს. ნარკოტიკების ბოლო მსხვილი პარტია პოჩომ რამდენიმე კვირის წინ სალერნოს პროვინციაში იპოვა. სამალავში 30 კილოგრამი კოკაინი იყო დამალული. ასევე, პოლიციელების თქმით, ძაღლმა მოახერხა ეპოვა ნარკოტიკები, რომელთაც ბავშვის მშრალი საკვების სახე ჰქონდა მიცემული და პლასტიკატის ბოთლში იდო.

პოჩო პოლიციაში ადგილობრივი მცხოვრების ოჯახიდან მოხვდა, რომელიც იძულებული გახდა ძაღლი აღერგიის გამო გაესხვისებინა. ჯეკ-რასელ-ტერიერი უკვე ცხრა წლისაა, მას პენსიაზე გასვლამდე კიდევ ერთი წლის სამსახური დარჩა გასავლელი. დამნაშავეებმა უკვე რამდენჯერმე სცადეს მისი თავიდან მოშორება, მაგრამ უშედეგოდ.



ლატარიის გამარჯვებულმა სიხარულისგან კინაღამ მომგებიანი ბილეთი დაკარგა

კანადის ქალაქ ედმონტონის მკვიდრმა მაღაზიაში მის მიერვე შეძენილი ლატარიის ბილეთი დატოვა, რომელიც მომგებიანი აღმოჩნდა.

ხოსელიტო ტრემოჩა, მას შემდეგ, რაც შეიტყო, რომ მილიონი კანადური დოლარის მფლობელი გახდა, მაშინვე ცოლთან გაიქცა, რათა მისთვის სასიხარულო ამბავი ეცნობებინა, მაგრამ აღელვებულს მომგებიანი ბილეთი მაღაზიაში დარჩა.

– როდესაც მაღაზიის თანამშრომელმა მითხრა, რომ მილიონი დოლარი მოვიგე, სიხარულისგან ხტუნვა დავიწყე. მინდოდა, რაც შეიძლება სწრაფად მიმერბინა სახლში და ცოლისთვის მომეყოლა. მე უბრალოდ გამოვვარდი მაღაზიიდან და უკვე გზაში მივხვდი, რომ ბილეთი დახლზე დავტოვე, – განაცხადა ტრემოჩამ.

მაღაზიიდან წამოსვლის წინ მან ბილეთი მაღაზიის თანამშრომელს მიაწოდა, ვინაიდან მისი შემოწმების დროს უამრავი ნოულის დანახვაზე თვალები აუჭრელდა და გადაწყვიტა მისგან მიეღო იმის დადასტურება, რომ ასეთი დიდი თანხა მოიგო.

მოგებული თანხით კანადელი ოჯახურ დასვენებას აპირებს. მან აღიარა, რომ ყოველთვის სურდა, თავისი გოგონა აშშ-ში ულტ დისნეის მსოფლიო დასვენების ცენტრში წაეყვანა.

ქალმა უდაბურ ადგილას ექვსი დღე ბალახის ჭამით გაძლო

ამერიკის არიზონის შტატში 53 წლის ქალმა ავარიის შემდეგ ექვსი დღე უდაბნოში გაატარა.

მან თავი ვერ გაართვა მანქანის მართვას, როდესაც უკაცრიელ გზატკეცილზე ქალაქ ვიკენბურგის მახლობლად მოძრაობდა. მისი ავტომობილი გზიდან გადავიდა, წინაღობა გაანგრია და მიწიდან 15 მეტრის სიმაღლეზე ხის ტოტებში გაიჭედა.

გზის დაზიანებული წინაღობა მხოლოდ ექვსი დღის შემდეგ შენიშნეს, როდესაც ავტოსაგზაო შემთხვევის ადგილზე გზის მუშები და ადგილობრივი ფირმის თანამშრომელი მივიდნენ. დაზიანებულ ადგილზე მისულებმა ხეზე დამტვრეული მანქანა შენიშნეს. იმ დროისთვის მანქანაში აღარავინ არ იმყოფებოდა, თუმცა მდინარისკენ ადამიანის ნაკვალევი მიემართებოდა.

მანქანის პატრონი 450 მეტრში აღმოაჩინეს, მას გაუწყლოვანება და ტრავმები ტანჯავდა, რომელიც მან ავტოავარიის შედეგად მიიღო. ქალის თქმით, ის რამდენიმე დღე ხეზე იჯდა და დახმარებას ელოდა, შემდეგ დაბლა ჩამოვიდა და რკინიგზის მიმართულებით წავიდა, გზად ის მდინარის წყალს სვამდა და ბალახს ჭამდა. მას პირველადი დახმარება აღმოუჩინეს, შემდეგ კი შვეულმფრენით საავადმყოფოში გადაიყვანეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

სხვადასხვა

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

საბურთალო კიდევ უფრო მიუახლოვდა ჩემპიონობას

საბურთალო-რუსთავი 2:1

თბილისი. მიხეილ მესხი

1:0 ვოლკოვი (6), 2:0 ვაგნერი (10), 2:1 კვირკველია (21)

საბურთალო: კუპატაძე, იაშვილი, მარგველაშვილი, ლაკვეხელიანი (ნადარაია 29), ცნობილაძე, რეხვიაშვილი, გორგიაშვილი, გონსალვესი, დიასამიძე, გოშთელიანი (დვალიშვილი 66), ვოლკოვი (ჩაბრაძე 75)

რუსთავი: სეფიაშვილი, კვირკველია, გადრანი, ჩუკურა, პაპავა, სილაგაძე, კლიმიაშვილი, კვარაცხელია (მარცვალაძე 82), ქავთარაძე, ლობჟანიძე, ციცქიშვილი (ჩოგაძე 67)

გაძევება: ნადარაია (42), მარცვალაძე (90)

თბილისის საბურთალო კიდევ უფრო მიუახლოვდა ჩემპიონობას. ახალგაზრდა გუნდისთვის ეს იქნება პირველი დიდი წარმატება, რომელსაც შინაურ სარბიელზე მიაღწევს. სამისოდ 6 ტური დარჩათ და თავად არ „მოინდომებენ“, ვერავინ შეეცილება.

მიუხედავად იმისა, რომ საწყის 10 წუთში საბურთალოელები ორ ბურთიანი სხვაობით იგებდნენ, საბოლოოდ მატჩი დაძაბული გამოდგა. 42-ე წუთიდან მოყოლებული თბილისელებმა თამაში კაცნაკლულობამ გააგრძელეს – ცვლილებაზე შესულმა ცოტნე ნადარაიამ რამდენიმე წუთის განმავლობაში 2 ყვითელი ბარათი მიიღო და მოედანი ვადაზე ადრე დატოვა.

თამაში მასპინძლებმა აქტიურად დაიწყეს და როგორც ზემოთ გითხარით, საწყის წუთებში 2 ბურთი გაიტანეს. მე-6 წუთზე ვაგნერმა საკუთარი საჯარიმოდან დაიწყო შეტევა, შემდეგ რამდენიმე საბურთალოელმა გააგრძელა, გურამ გოშთელიანმა დასარტყმელ პოზიციაზე დავით ვოლკოვი გაიყვანა, რომელმაც ახლო მანძილიდან შედეგიანად მოიქნია ფეხი – 1:0.

მეორე გოლშიც ბოლო პასი გოშთელიანმა გააკეთა, რომელმაც ვაგნერი მეკარესთან პირისპირ დატოვა. კლუბის ლეგიონერმაც მეკარეს ბურთი ტექნიკურად თავზე გადაუგდო და ანგარიში ორამდე გაზარდა. მალე გეგა დიასამიძის დარტყმის შემდეგ, სტუმრები ძელმა იხსნა.

21-ე წუთზე კი ქვემოქართლელებმა მინიმუმამდე შეამცირეს სხვაობა – გატანილი გოლით თავი დავით კვირკველიამ გამოიჩინა.

მეორე ტაიმში კაცნაკლულმა საბურთალოელებმა აქცენტი საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე გააკეთეს და კონტრშეტევებით ცდილობდნენ ფონს გასვლას. რუსთაველებს გათანაბრებაც შეეძლოთ – თემურ ჩოგაძის დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა.

რამდენიმე წუთში უკვე რუსთაველები გადარჩნენ გაშვებულ გოლს – გიორგი რეხვიაშვილის ჩაწოდების შემდეგ, ვლადიმერ დვალიშვილი ურტყამდა თავით, მაგრამ სტუმრები ხარიხამ იხსნა.

მატჩის ბოლოს მთავარმა არბიტრმა გიორგი ვადაჭკორიამ წითელი ბარათი რუსთაველ ოთარ მარცვალაძეს უჩვენა და როდესაც მოედანზე რიცხობრივი თანაფარდობა აღსდგა, ნათელი გახდა, რომ რუსთავი მატჩს ველარ შემოაბრუნებდა.

სიონი-დილა 3:1

თბილისი. მიხეილ მესხი 2

1:0 ისიანი (14), 2:0 მახარობლიძე (31), 2:1 კოვტალიუკი (71), 3:1 მახარობლიძე (86)

სიონი: ზარქუა, მინდორაშვილი, თომაშვილი, გურეშიძე, კოშკაძე, ხმალაძე, დ.კირკიტაძე, მახარობლიძე, ისიანი, დათუნაიშვილი, გიორბელიძე

დილა: გუგეშაშვილი, ჩადუნელი, რაზმაძე, ნ.ქავთარაძე, გოგუა, რაჟამაშვილი, ნონიკაშვილი, კოვტალიუკი, სანტოსი, გრიგალაშვილი, სუხიაშვილი

ბოლნისელები გასავარდნი ზონიდან დასხლტომას ცდილობენ და ამ გამარჯვებით მნიშვნელოვნად გაიუმჯობესეს სატურნირო მდგომარეობა. დილამ კი პირიქით, ვერ ისარგებლა კონკურენტის წაფორხილებით და ევროსაგზურის ზონაში მოხვედრა გაირთულა.

სიონმა მე-14 წუთზე შეძლო ანგარიშის გახსნა: ალექსანდრე კოშკაძემ კუთხური მოაწოდა და ვილი ისიანმა გაიტანა. 31-ე წუთზე კი ვილი ისიანის გადაცემას ბიძინა მახარობლიძე კარგად დაუხვდა და ანგარიში ორამდე გაზარდა.

მეორე ტაიმში გორელთა შემადგენლობაში ლეანდრო რიბეირო და გაირა ჯუფი გამოჩნდნენ, რომლებსაც სიტუაციის გამწვავება ევალებოდათ. დილას ფეხბურთელებმა რამდენიმე მომენტიც შექმნეს, საბოლოოდ 71-ე წუთზე მიკოლა კოვტალიუკმა ნოდარ ქავთარაძის პასით ანგარიში შეამცირა.

თუმცა 86-ე წუთზე ისიანის მორიგი საგოლე პასით მახარობლიძემ დუბლი შეასრულა და საბოლოო ანგარიში 3:1 დააფიქსირა.

სიონმა მე-7 ადგილოსან რუსთავთან სხვაობა 2 ქულამდე შეამცირა...

ჩიხურა-ლოკომოტივი 0:0

ივანწმინდა. ცენტრალური

ჩიხურა: ჰამზიჩი, კახაბრიშვილი (იონანიძე 87), მაისაშვილი, კაკუბავა, ჩიკვაიძე, ბულრიძე, დობროვოლსკი, ჩიხლაძე, სარდალიშვილი (ლექვთაძე 88), გაბედავა, მარკოზაშვილი

ლოკომოტივი: თევდორაძე, გაბაძე, ჭანტურია, ქურდაძე, უბილავა, გვალია (ძებნიაური 74), შონია, ჯონი (ინჯგია 65), დავითაშვილი, არდაზიშვილი (კიკაბიძე 86), გავაშელიშვილი

ჩიხურა ევროსაგზურისთვის იბრძვის და უფრო მეტად სჭირდებოდა 3 ქულა, თუმცა, ლოკომოტივმა ბოლომდე იბრძოლა და მეტოქეს გამარჯვება არ დაანება.

მატჩი მასპინძელთა ტერიტორიული უპირატესობით წარიმართა, თუმცა, ეს შედეგზე არ აისახა. რამდენიმე მწვავე მომენტის მიუხედავად, ანგარიში არ გახსნილა და გუნდებმა ქულები გაიყვეს.

სატურნირო ცხრილი:

1.საბურთალო	31	22	4	5	57-26	70
2.დინამო	30	19	5	6	61-26	62
3.ტორპედო	30	16	7	7	47-23	55
4.ჩიხურა	31	16	6	9	46-28	54
5.დილა	31	13	11	7	50-39	50
6.ლოკომოტივი	31	9	7	15	34-48	34
7.რუსთავი	31	6	12	13	29-40	30
8.სიონი	31	7	7	17	32-53	28
9.სამტრედია	30	3	9	18	25-61	18
10.კოლხეთი	30	4	8	18	25-62	14

შენიშვნა: კოლხეთს დაკლებული აქვს 6 ქულა

ინფანტინო სიტისა და პსჟ-ს დაეხმარა

გერმანული მედია, კერძოდ კი გამოცემა შპიგელი, მსოფლიო ფეხბურთში დიდი სკანდალის მოლოდინს აანონსებს. საქმე ის არის, რომ გამოცემა მსოფლიოს ვარსკვლავების, მათ შორის ჩემპიონთა ლიგის მრავალგზის გამარჯვებული ფეხბურთელების მიერ მიღებული დოპინგ-ტესტების შესახებ პუბლიკაციას ამზადებს. ამასთან, იგეგმება სტატიების ციკლი იმაზე, თუ როგორ არიდებენ თავს გადასახადებს ინგლისური პრემიერლიგის ტიტანები.

მტკიცებულებები უახლოეს კვირაში უნდა გამოქვეყნდეს.

ცხადია, იმ ფეხბურთელების ვინაობა, რომლებიც დოპინგის მიღებაში არიან მხილებულნი, ჯერჯერობით არ ხმაურდება. ასევე გასაიდუმლოებულია იმ ინგლისური კლუბების სახელებიც, რომლებიც გადასახადებთან დაკავშირებით მაქინაციებში არიან გარეულნი.

ასევე შპიგელის გამოძიებით, ფიფას პრეზიდენტი ჯანი ინფანტინო 2 ბობოლა კლუბს, მანჩესტერ სიტისა და პსჟ-ს ფინანსური ფეარ-პლეის წესის დარღვევისთვის სანქციების თავიდან არიდებაში დაეხმარა. ჟურნალისტების ვერსიით, ეს 2014 წელს მოხდა, როდესაც ინფანტინო უეფას გენერალური მდივნის თანამდებობას იკავებდა.

როგორც ირკვევა, 2011-იდან 2013 წლამდე პსჟ-სა და სიტის ბიუჯეტის სერიოზული დეფიციტი ჰქონდათ. ფრანგულ კლუბს – 218 მილიონი ევრო, ინგლისურს – 188 მილიონი ევრო. წესით, უეფას კლუბების წინააღმდეგ სანქციები უნდა დაეწესებინა და ევროთასებიდან მოეკვეთა, თუმცა, ინფანტინოს წყალობით, ეს არ მოხდა.

წყაროს ცნობით, ამ ფაქტის გამო შოტლანდიელმა ექსპერტმა ეკონომიკის დარგში ბრაიან კუინმა, რომელიც იმყამად ფინანსური ფეარ-პლეის საგამოძიებო კომიტეტის ხელმძღვანელი იყო და პსჟ-ისა და მანჩესტერ სიტის დარღვევებს სწავლობდა, თანამდებობა დატოვა. ის მიიჩნევდა, რომ უეფამ ამ კლუბების წინააღმდეგ მეტისმეტად მსუბუქი სასჯელი გამოიყენა.

სუპერლიგა ჩემპიონთა ლიგის ნაცვლად?

გერმანული მედიის ინფორმაციით, მალე ახალი ლიგა – სუპერლიგა შეიქმნება, რომელიც ჩემპიონთა ლიგას ჩაანაცვლებს.

ამაზე თემაზე სპეკულაცია კარგა ხანია მიმდინარეობს, მაგრამ, როგორც ჩანს, ყველაფერმა რეალური სახე მიიღო. გერმანული გამოცემები იტყობინებიან, რომ ევროპის 11 გრანდი ახალ ტურნირში ჩაბმაზე მუშაობს.

2016 წლიდან მოყოლებული, რეალი, პსჟ, ბარსელონა, ბაიერნი, მანჩესტერ იუნაიტედი, მანჩესტერ სიტი, იუვენტუსი, მილანი, ლივერპული, არსენალი და ჩელსი სუპერლიგის ჩამოყალიბებაზე მუშაობენ და დოკუმენტების გაფორმებას მიმდინარე წლის ნოემბერში აპირებენ. ხსენებული გუნდების გეგმის მიხედვით დატოვებენ ეროვნულ ჩემპიონატებს, ეროვნულ ფედერაციებსა და უეფას ტურნირებს და სუპერლიგას შეუერთდებიან.

საინტერესოა, რომ, გავრცელებული ინფორმაციით, ყველაფრის ინიციატორი მიუნხენის ბაიერნი ყოფილა. პირველი ნაბიჯები 2016 წელს გადაიდგა მაიკლ გერლინგერის მხრიდან, რომელიც ბავარიული კლუბის იურიდიულ განყოფილებას უდგას სათავეში და გუნდის „ტვინად“ ითვლება. გერლინგერი იშვიათად ჩნდება ხალხში, მაგრამ რუმენიგეს მის გარეშე არც ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება არ აქვს მიღებული უკვე 10 წელზე მეტია.

თვითონ რუმენიგემ კი მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ევროპულ კლუბებთან უეფას წინააღმდეგ აგორებულ რევოლუციაში და მან ეს ევროპულ კლუბთა ასოციაციისგან დამალულად გააკეთა, რომელიც 200-ზე მეტ ევროპული კლუბის ინტერესებს წარმოადგენდა, იმის მიუხედავად, რომ გერმანელი ფუნქციონერი მის თავმჯდომარედ გვევლინებოდა.

გეგმის მიხედვით, შეიქმნება 16-გუნდიანი ტურნირი, რომელშიც ხსენებულ 11 გუნდთან 5 მიწვეული გუნდი იქნება – დორტმუნდი, რომა, ატლეტიკო, ინტერი და მარსელი.

გარდა ამისა, იგეგმება მეორე დივიზიონის ჩამოყალიბებაც, მაგრამ დამფუძნებელი 11 გუნდი სუპერლიგიდან არ გავარდება. მიზანია, რომ აღნიშნულმა ტურნირმა 2021 წლისთვის სრულად ჩაანაცვლოს უეფას ჩემპიონთა ლიგის გათამაშება.

გერმანულმა მედიამ უკვე გაავრცელა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც ბაიერნი ბუნდესლიგისა და უეფას ტურნირების დატოვებას აპირებს. გარდა ამისა, მუშაობს გეგმაზე, რომელიც მიზნად ისახავს, რომ ეროვნულ ნაკრებებში ფეხბურთელების გაშვება აკრძალოს.

თუმცა, მიუნხენურმა კლუბმა ზემოთ აღნიშნული ინფორმაცია ოფიციალურად უარყო და განაცხადა, რომ ბავარიელებს არასოდეს არ მიუღია მონაწილეობა ეგრეთ წოდებულ „სუპერლიგის“ შექმნასთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებში.

ძალოსნოზაში უმედლებოდ ვართ

თურქმენეთის დედაქალაქ აშხაბადში მსოფლიო ჩემპიონატზე ძალოსნობაში ქართველთათვის მედლები პირველად 61 კილოგრამ წონით კატეგორიაში გათამაშდა. თუმცა, მედლის გარეშე დავრჩით. საქართველოს სახელით ფიცარნაგზე ევროპის მოქმედი ჩემპიონი შოთა მიშველიძე გავიდა.

მიშველიძემ ატაცში 2 ცდა დასძლია, ხოლო შტანგასთან ბოლო მისვლა (139 კგ) ველარ გამოიყენა და 135 კილოგრამით მე-7 პოზიციაზე დამკვიდრდა.

კიდევ უფრო ცუდად იასპარეზა ჩვენებურმა აკვრაში. ქართველი ძალოსანი დამაჯერებლად ვერ გამოიყურებოდა და 2 ცდა 155 კილოგრამზე გააფუჭა. მე-3 ცდაზე კი 158 კგ შეუკვეთა და დაიმორჩილა, თუმცა, სამწუხაროდ, მედლებისთვის ბრძოლას ჩამოშორდა, რადგან 2 დისციპლინის ჯამში 293 კილოგრამი საპრიზო ადგილებზე მოსახვედრად საკმარისი არ აღმოჩნდა.

67 კილოგრამ წონით კატეგორიის ბ ჯგუფში საქართველოს ნაკრების წევრმა გოგა ჩხაიძემ მწვრთნელების მიერ მიცემული ყველა დავალება შესანიშნავად შეასრულა. ქართველმა ძალოსანმა ატაცში სამივე ცდა (132, 136, 139) წარმატებით გამოიყენა და მე-3 ადგილი დაიკავა. ასევე წარმატებით გაართვა თავი აკვრასაც (164, 168, 172) და მე-2 ადგილზე გავიდა, ხოლო ორჭიდის ჯამში 311 კილოგრამით პირველი ადგილი დაიკავა და ბ ჯგუფის ლიდერი გახდა.

ამ წონით კატეგორიაში ა ჯგუფში მედლები მოგვიანებით გათამაშდება, მაგრამ შედეგს არც აქ უნდა ველოდოთ.

გენტი ჩაკვეტაძეს სარეკორდო თანხად გაყიდის

საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი გიორგი ჩაკვეტაძე ისევ მოექცა მედიის ყურადღების ქვეშ. ჩვენებური 19 წლის ასაკში ბელგიური გენტის ლიდერი გახდა – ოქტომბერში მან ჟუპილერლიგაში 4 გოლი გაიტანა და მე-12 ტურის საუკეთესო ფეხბურთელადაც დასახელდა.

ერთ-ერთი გავლენიანი ბელგიური ვებგვერდი მის ტრანსფერს აანონსებს, რომელიც ბელგიური კლუბის ისტორიაში, სავარაუდოდ, სარეკორდო იქნება.

– გენტის საბადოში კვლავ არის ოქრო. ბოლო წლებში კლუბის შეფმა ივან დე ვიტმა და მენეჯერმა მიშელ ლუვეჟმა რამდენჯერმე მოახერხეს და კარგ ფასად გაყიდეს კლუბის ტალანტები, რომლებიც გაცილებით იაფად შეიძინეს. ახლა კი გენტი აბსოლუტური რეკორდის მოლოდინშია. გიორგი ჩაკვეტაძე მხოლოდ 19 წლის არის, მაგრამ ის გუნდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურაა.

ქართველმა შარლერუას წინააღმდეგ თამაშში გაიბრწყინა, როცა დუბლი შეასრულა. დამკვირვებლები ერთზე უკვე შეთანხმდნენ: ჩაკვეტაძეს დიდი მომავალი აქვს. მანამდე, სანამ გიორგი გენტში მოვიდოდა, მისი ხილვა მიუნხენის ბაიერნს სურდა და, როცა ქართველი გენტის ფეხბურთელი გახდა, ის უკვე ჰყავდათ დიდ კლუბებს მონიშნული. ყველამ კარგად იცოდა, რომ გენტში ის კიდევ მოუმატებდა. ქართველის სატრანსფერო ფასი სულ იზრდება, გენტმა თბილისის დინამოს 2017 წლის ზაფხულში 1.5 მილიონი ევრო გადაუხადა ჩაკვეტაძის სანაცვლოდ. ახლა კი მისი ფასი უკვე 5 მილიონი ევროა. გენტში უკვე ელიან, რომ ჩაკვეტაძის რომელიმე ევროპულ გრანდში გაყიდვით კლუბის ისტორიაში ახალ რეკორდს დაამყარებენ. ახლანდელი რეკორდი სვენ კუმსს ეკუთვნის, რომელიც 2016 წელს უოტფორდში 9 მილიონ ევროდ გაიყიდა. ეს რეკორდი მალე მოიხსნება, – წერია ვებგვერდზე.

შედეგები

3 ნოემბერი

ფეხბურთი

ინგლისი. პრემიერლიგა

არსენალი-ლივერპული	1:1
ვულვერჰემპტონი-ტოტენჰემი	2:3
ბორნმუთი-მანჩესტერი	1:2
კარდიფი-ლესტერი	0:1
ნიუკასლი-უოტფორდი	1:0
ვესტ ჰემი-ბარნლი	4:2

სატურნირო ცხრილი:

1.ლივერპული	11	8	3	0	21-5	27
2.სიტი	10	8	2	0	27-3	26
3.ჩელსი	10	7	3	0	24-7	24
4.არსენალი	11	7	2	2	25-14	23
5.ტოტენჰემი	10	7	0	3	16-8	21
6.ბორნმუთი	11	6	2	3	20-14	20
7.მანჩესტერი	11	6	2	3	19-18	20
8.უოტფორდი	11	6	1	4	16-13	19
9.ევერტონი	11	5	3	3	19-15	18
10.ლესტერი	11	5	1	5	17-16	16
11.ვულვზი	10	4	3	3	9-9	15
12.ბრაიტონი	11	4	2	5	12-16	14
13.ვესტ ჰემი	11	3	2	6	13-17	11
14.კრ.პალასი	10	2	2	6	7-13	8
15.ბარნლი	11	2	2	7	12-25	8
16.საუთჰემპტონი	10	1	4	5	6-14	7
17.ნიუკასლი	11	1	3	7	7-14	6
18.კარდიფი	11	1	2	8	9-24	5
19.ფულემი	10	1	2	7	11-28	5
20.ჰადერსფილდი	10	0	3	7	4-21	3

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

რეალი-ვალიადოლიდი	2:0
რაიო-ბარსელონა	2:3
ლეგანესი-ატლეტიკო	1:1
ვალენსია-ხირონა	0:1

სატურნირო ცხრილი:

1.ბარსელონა	11	7	3	1	31:14	24
2.ატლეტიკო	11	5	5	1	13:6	20
3.ალავესი	10	6	2	2	14:9	20
4.სევილია	10	6	1	3	22:13	19
5.ესპანიოლი	10	5	3	2	14:8	18
6.რეალი	11	5	2	4	16:14	17
7.ლევანტე	10	5	1	4	16:15	16
8.ვალიადოლიდი	11	4	4	3	9:9	16
9.ხირონა	11	4	4	3	13:14	16
10.ხეტაფე	10	4	3	3	10:8	15
11.სელტა	10	3	4	3	17:13	13
12.სოსიედადი	10	3	3	4	12:13	12
13.ბეტისი	10	3	3	4	5:9	12
14.ვალენსია	11	1	8	2	7:9	11
15.ეიბარი	10	3	2	5	10:17	11
16.ბილბაო	10	1	7	2	11:15	10
17.ვილიარეალი	10	2	3	5	8:10	9
18.ლეგანესი	11	2	3	6	9:16	9
19.რაიო	11	1	3	7	12:23	6
20.უესკა	10	1	2	7	8:22	5

გერმანია. ბუნდესლიგა

ლევერკუზენი-ჰოფენჰაიმი	1:4
ბაიერნი-ფრაიბურგი	1:1
აუგსბურგი-ნიურნბერგი	2:2
შალკე-ჰანოვერი	3:1
ვოლფსბურგი-დორტმუნდი	0:1
ჰერტა-ლაიფციგი	0:3

სატურნირო ცხრილი:

1.დორტმუნდი	10	7	3	0	30:10	24
2.ბაიერნი	10	6	2	2	18:11	20
3.ლაიპციგი	10	5	4	1	19:9	19
4.აინტრახტი	10	5	2	3	23:13	17
5.გლადბახი	9	5	2	2	20:12	17
6.ვერდერი	9	5	2	2	17:14	17
7.ჰოფენჰაიმი	10	5	1	4	22:14	16
8.ჰერტა	10	4	4	2	15:13	16
9.აუგსბურგი	10	3	4	3	18:16	13
10.ფრაიბურგი	10	3	4	3	14:16	13
11.ვოლფსბურგი	10	3	3	4	14:15	12
12.ლევერკუზენი	10	3	2	5	16:21	11
13.შალკე	10	3	1	6	8:12	10
14.ნიურნბერგი	10	2	4	4	11:22	10
15.მაინცი	9	2	3	4	5:10	9
16.ჰანოვერი	10	1	3	6	12:21	6
17.ფორტუნა	9	1	2	6	6:21	5
18.შტუტგარტი	10	1	2	7	6:24	5

იტალია. სერია ა

იუვენტუსი-კალიარი	3:1
ინტერი-ჯენოა	5:0
ფიორენტინა-რომა	1:1

სატურნირო ცხრილი:

1.იუვენტუსი	11	10	1	0	24:8	31
2.ინტერი	11	8	1	2	21:6	25
3.ნაპოლი	11	8	1	2	24:12	25
4.მილანი	10	5	3	2	20:14	18
5.ლაციო	10	6	0	4	13:12	18
6.ფიორენტინა	11	4	4	3	17:9	16
7.რომა	11	4	4	3	18:14	16
8.სამპდორია	10	4	3	3	14:7	15
9.სასუოლო	10	4	3	3	17:16	15
10.ტორინო	10	3	5	2	12:12	14
11.ჯენოა	11	4	2	5	16:24	14
12.კალიარი	11	3	4	4	10:14	13
13.პარმა	10	4	1	5	10:14	13
14.ატალანტა	10	3	3	4	17:12	12
15.სპალი	10	4	0	6	8:13	12
16.უდინეზე	10	2	3	5	10:15	9
17.ბოლონია	10	2	3	5	8:14	9
18.ემპოლი	11	1	3	7	10:20	6
19.ფროზინონე	10	1	2	7	9:24	5
20.კიევო	10	0	2	8	8:26	-1

შენიშვნა: კიევოს დაკლებული აქვს 3 ქულა

მოამზადა მიხეილ ყორეოლიანმა

ქალს შეცდომით ჯანმრთელი თირკმელი ამოაჭრეს

ამერიკის ფლორიდის შტატის ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტი განიხილავს საჩივარს ქირურგის მიმართ, რომელმაც შეცდომით ქალს ჯანმრთელი თირკმელი ამოაჭრა.

ინციდენტი 2016 წლის აპრილში მოხდა. დაზარალებული ქალბატონი ხერხემალზე საოპაერაციოდ მოათავსეს საავადმყოფოში. ქირურგმა რამონ ვასკეზმა ქალის ზურგის ქვედა ნაწილში გაკვეთა და წელის არეში უცხო ობიექტი შენიშნა. მან ის ავთვისებიან სიმსივნედ ჩათვალა და დაუყოვნებლივ ამოკვეთა.

ერთი თვის შემდეგ პათოლოგანატომმა დაადგინა, რომ ამოკვეთილი ორგანო ჯანმრთელი თირკმელი იყო, რომელიც პაციენტის ორგანიზმის ანომალიის გამო წელის არეში იყო ჩამოსული.

ამ შეცდომამდე ვასკეზს უმწიკვლო რეპუტაცია ჰქონდა. ახლა კი შესაძლოა ის დააჯარიმონ, ჩამოართვან სამედიცინო ლიცენზია ან სხვა სახის სასჯელი დააკისრონ. ქირურგის ადვოკატი ამტკიცებს, რომ დანაშაული საავადმყოფოს ეკისრება, რომელმაც არ გააფრთხილა პაციენტის თირკმლის უცნაური ადგილმდებარეობის თაობაზე. ეს ფაქტი ადრევე იყო ცნობილი მაგნიტო-რეზონანსული ტომოგრაფიის შედეგად, რომელიც ქალს ოპერაციის წინ გაუკეთდა.

ჩინეთში ავტობუსის მძღოლისა და მგზავრი ქალის ჩხუბი ავტოკატასტროფით დასრულდა

ჩინეთში მგზავრი ქალისა და მძღოლის ჩხუბის შედეგად ავტობუსი ქალაქ ჩუნცინის მახლობლად მდინარე იანძიში გადავარდა. ავტოკატასტროფას 13 ადამიანი ემსხვერპლა, კიდევ ორი ადამიანი დაკარგულად ითვლება.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად კონფლიქტის მიზეზი ის გახდა, რომ ქალს თავისი გაჩერება გამოეპარა და მძღოლს ავტობუსის გაჩერება მოსთხოვა. მან მოთხოვნის შესრულებაზე უარი უთხრა, ვინაიდან იმ მომენტში ავტობუსი უკვე მდინარეზე გადებულ ხიდზე იმყოფებოდა. ქალმა ჯერ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა მძღოლს, შემდეგ კი დაარტყა.

გამოქვეყნებულ ვიდეოში ჩანს, რომ მძღოლი შეეცადა, ქალის დარტყმა მოეგერიებინა და საპასუხოდ თავადაც დაერტყა. ამის გამო მან საჭეს მარჯვენა ხელი გაუშვა, რის გამოც მანქანის მართვა დაკარგა, ხოლო საათში 51 კილომეტრი სიჩქარით მიმავალი ავტობუსი გზის შემხვედრ ზოლში გადავიდა, სადაც მსუბუქ მანქანასთან შეჯახების შემდეგ ხიდის დამცავი მოაჯირი გაანგრია და მდინარეში გადავარდა.

ჩინეთის ხელისუფლებამ შემთხვევის ადგილზე ათეულობით მაშველი, პოლიციელი, მყვინთავი და მოხალისე გააგზავნა. სპეციალისტებმა სატრანსპორტო საშუალების 70 მეტრის სიღრმიდან ამოღება მოახერხეს. ამისთვის რამდენიმე გემის გამოყენება და წყალქვეშა სამუშაოების შესრულება გახდა აუცილებელი.

ამსტერდამელ მეძავებს გადასახლებას უპირებენ

ამსტერდამის ხელისუფლებამ მეძავების „წითელი ფარნების კვარტალიდან“ სხვა რაიონში გადაყვანის წინადადება წამოაყენა, რათა ტურისტებმა მათ მუშაობაში ხელი არ შეუშალონ. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

– „წითელი ფარნების კვარტალის“ ალტერნატივად შესაძლოა სასტუმროს სახის ბორდელი გაიხსნას ნომრებით, რომლებიც აღჭურვილი იქნება სეიფებით ფულისთვის და უსაფრთხოების კამერებით, – განაცხადა ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის საბჭოს წევრმა ფემკე როუსმა.

– ეს მეძავებს თავისუფლად მუშაობის საშუალებას მისცემს და მათ ფანჯრებზე ფოტოკამერებით მიმდგარი ტურისტებისგან დაიცავს. „წითელი ფარნების კვარტალი“ სექსინდუსტრიისთვის იდეალურ ადგილს აღარ წარმოადგენს, – განაცხადა მემარცხენე-ლიბერალური პოლიტიკური პარტიის მრჩეველმა ალექსანდრ ჰამელბურგმა.

ექსპერტებმა ასევე აღნიშნეს, რომ მეძავებს აუცილებლად სჭირდებათ ახალ ტერიტორიაზე გადასახლება, ვინაიდან ბევრი კლიენტი მეძავის ინტერნეტით სახლში ან სასტუმროს ნომერში შეკვეთას ამჯობინებს „წითელი ფარნების კვარტალში“ სტუმრობას. ამ ყოველივეს გამო ბორდელების ფანჯრების უმეტესობა დღის განმავლობაში ცარიელია.

ქალი მძინარე ძაღლს წამოედო და კისერი მოიტეხა

ინგლისის სუფოლკის საგრაფოს მცხოვრები ქალბატონი მძინარე ძაღლის გამო კიბეზე დაგორდა და კისრის ერთ-ერთი მალა მოიტეხა.

– ასეთი რამის წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელია, – განაცხადა 28 წლის ბექს ჰანტმა, – ღამით ავდექი ტუალეტში წასასვლელად, წამის მერე უკვე კიბის ქვეშ ვიჯექი.

როგორც გაირკვა, მან ვერ შენიშნა, რომ კიბის ზედა საფეხურზე ლაბრადორს, სახელად ტეკილას ეძინა, გოგონა მას წამოედო და კიბეზე დაგორდა.

ნამძინარევმა გოგონამ ვერ შენიშნა, რომ ტრავმა მიიღო, დამოუკიდებლად მიაღწია ლოგინამდე და ისევ დაიძინა, დილით გაღვიძებული კი მიხვდა რომ თავის გატოკებაც კი უჭირდა. საავადმყოფოში მას კისრის მეორე მალის მოტეხილობა დაუდგინეს.

ამჟამად ჰანტი იძულებულია, კისერზე სპეციალური კორსეტი ატაროს, კონსტრუქცია, რომელიც სამ კილოგრამს იწონის. საბედნიეროდ, მას გოგონას სამი თვის მერე მოხსნიან. ექიმები აცხადებენ, რომ ჰანტი ადვილად გადარჩა, ვინაიდან მას რომ ერთ-ერთი მოტეხილის გვერდითი მალა მოეტეხა, სიცოცხლის ბოლომდე პარალიზებული დარჩებოდა.

რესტორნის უკმაყოფილო კლიენტისგან ვეგეტარიანელებს კერძები დაუმზადეს

ტაილანდში ვეგეტარიანული კაფეს მომხმარებლებმა კერძში ხორცის შემცველობის გამო იჩივლეს. ადგილობრივმა პოლიციამ გაარკვია, რომ ეს ადამიანის ხორცი იყო.

საჩივარი იმის შესახებ, რომ ვეგეტარიანული რესტორანი ხორცს იყენებდა კერძების დასამზადებლად და ამის შესახებ კლიენტებს საქმის კურსში არ აყენებდა, ბანგკოკის ხელისუფლებას გადაეცა. პოლიციამ გამოძიება დაიწყო და აღმოაჩინა, რომ კერძების ინგრედიენტებში დაკარგული 61 წლის მამაკაცის სხეულის ნაწილები იყო გამოყენებული. აღმოჩნდა, რომ ის ამ რესტორანს უგზო-უკვლოდ გაუჩინარებამდე სტუმრობდა. დაწესებულების სამზარეულო სისხლით იყო მოთხვრილი.

პრასიტ ინპატომი უკანასკნელად რესტორანში 21 ოქტომბერს შენიშნეს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მას კონფლიქტი მოუვიდა რესტორნის მფლობელთან, რომელიც ჩხუბში გადაიზარდა. ამის შედეგად მამაკაცი მოკლეს, ხოლო დაწესებულების მფლობელმა გადაწყვიტა ის თავიდან მოეშორებინა. მისი სხეული დაანაწევრეს და კერძებში შეურიეს.

პოლიციის ინფორმაციით, მკვლელობაში ეჭვმიტანილი გაქცეულია და იმალება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სიმდიდრემ ლატარიის გამარჯვებულს ცხოვრება დაუნგრია

ყოფილი ბრიტანელი ფოსტალიონი, რომელიც ლატარიაში გამარჯვების წყალობით გამდიდრდა, მარტოობით იტანჯება. მან გადაწყვიტა, გაყიდოს მდიდრული ბინა, წავიდეს ავსტრალიაში და იქ ახალი ცხოვრება დაიწყოს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.

2012 წელს 42 წლის ფოსტალიონმა ადრიან ბეიფორადმა ლატარიაში 148 მილიონი ფუნტი სტერლინგი მოიგო. ამის შემდეგ ის საცხოვრებლად სუფოლკის საგრაფოში, ძველ მამულში გადავიდა, რომელიც 6,5 მილიონ ფუნტ სტერლინგად შეიძინა. ყოფილმა ფოსტალიონმა XIX საუკუნის სახლი რაინების აღჭურვილობითა და სანტა-კლაუსის უზარმაზარი ფიგურით მორთო.

ლატარიაში გამარჯვებიდან 15 თვის შემდეგ მისმა მეუღლემ განქორწინებაზე განცხადება შეიტანა. ძეხვის მწარმოებელი ფაბრიკის თანამშრომელთან მცირე ხნის რომანის შემდეგ ბეიფორადს ხანგრძლივი ურთიერთობა კიდევ ერთ ქალთან ჰქონდა, თუმცა გასულ წელს ისიც გაშორდა და ქალმა თან გაიყოლა 300 ათასი ფუნტი სტერლინგის ღირებულებიც ცხენები. მესამე ქალმა, იტალიური რესტორანის ყოფილმა ოფიციანტმა, ახლად გამომცხვარი მილიონერი მას შემდეგ მიატოვა, რაც მის ტელეფონში ქალთან, რომელიც ადრე მის პირად მძღოლად მუშაობდა, ინტიმური მიმოწერა აღმოაჩინა.

ბეიფორადის ნაცნობები ამტკიცებენ, რომ ის დარწმუნებულია, რომ სიმდიდრე მას პირადი ცხოვრების მოწყობაში ხელს უშლის. ახლა უკვე ის სახლის გაყიდვას გეგმავს, მან უკვე მოიშორა თავიდან ექვსი წლის განმავლობაში შეძენილი ცხენები, ძროხები, ქათმები და სხვა ცხოველები. გარდა ამისა, ყოფილმა ფოსტალიონმა უკვე დაკეტა თავისი მუსიკალური მაღაზიები, რომლებიც ჰობის წარმოადგენდნენ. ის აპირებს, საცხოვრებლად ავსტრალიაში გადავიდეს და იქ სულ სხვა ადამიანად იქცეს.

სასანგოხდი



1. სატირული ხასიათის მიბაძვა; 2. მეცნიერების დარგი; 3. ... ლოლაშვილი; 4. პირველი ნოტი; 5. ავსტრალიური სირაქლემა; 6. მღვდლის სამოსელი; 7. დამუხტული ელექტროდი; 8. ნიბლია; 9. ჯუჯა კამეჩი; 10. ქიმიური ელემენტი; 11. ... შარიფი; 12. დიდი ზომის საორკესტრო ნაწარმოები; 13. ნაჟონი ანუ ...; 14. ომის უკუსიდიდე; 15. წყლის ტრანსპორტი; 16. რასაც ეწევიან, აბოლებენ; 17. კარ-მიდამო ლათინურ ამერიკაში; 18. ენიო...; 19. კარგი ხარისხის ყავა; 20. ლიტერატურული თამაში; 21. ბიბლიური საკვები; 22. ლირიკული ვოკალური ნაწარმოები; 23. დიდი სახაზავი; 24. იტალიური ღვეზელი; 25. „არჩევანის“ მომდევნო; 26. რასაც საათი აჩვენებს; 27. ქალაქი-ნავსადგური საფრანგეთში; 28. მომჭირნეობა; 29. სამკერდე ჯილდო; 30. ... ფეროუ.

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. გემა; 2. განგი; 3. ბრასი; 5. იბერია; 6. ლემბერგი; 9. ენტომოლოგი; 10. იონოსფერი; 11. კუბერტენი; 14. უშუ; 16. გელათი; 18. ანსა.

თარაზულად: 1. გორგია; 4. შვიდეული; 7. ანდორა; 8. სუპორტი; 12. ოტელო; 13. გურონი; 15. ლონდრე; 17. ალი; 19. ალექსანდრია; 20. დინგო; 21. ხაიამი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ბაჯაღლო; 2. ფლავი; 3. გეოლოგია; 4. პლაფონი; 5. საწნახელი; 9. ბრაილი; 12. სლალომი; 14. პაგოდა; 15. ტუბა; 17. ტურნე; 18. სენა.

თარაზულად: 6. შატილი; 7. პენელოპა; 8. ზანავი; 10. ვოლგა; 11. მონოგრაფია; 13. ეპისტოლე; 16. ფლირტი; 19. ერდოღანი; 20. საქსონია.

ასტროპროგნოზი 5 ნოემბრისათვის

ვერძი – ეს დღე საინტერესო ნაცნობობას გიქადით. იზრუნეთ საკუთარი პროფესიონალიზმის სრულყოფაზე. **კურო** – ბედი გწყალობთ. გარშემომყოფებთან ჰარმონიული ურთიერთობა გაქვთ. ერიდეთ ფიზიკურ დატვირთვას. **ტყუპები** – მატერიალურ მდგომარეობას არ უჩივით. შესაძლოა, ხელსაყრელი შემოთავაზებაც მიიღოთ. ნუ დაწვრილმანდებით. **კირჩხიბი** – თავს მხნედ გრძნობთ. განეწყვეთ ოპტიმისტურად. კამათში ნუ ჩაერთვებით. **ლომი** – შესაფერისი დღეა საქმიანი კონტაქტებისათვის, საყოფაცხოვრებო პრობლემების მოსაგვარებლად. ძველ მეგობარს აუცილებლად შეეხმიანეთ. **ქალწული** – ვარსკვლავები გმფარველობენ. ახალი საქმე თამამად დაიწყეთ. ჰარმონიული და მშვიდი დღეა. **სასწორი** – იმედიანად ხართ. ბედი არ გიმტყუნებთ. კარგი იქნება ფიზიკური დატვირთვა, ფეხით სეირნობა. **ღრიანკალი** – დაძაბული პოლიტიკური მდგომარეობა თქვენს ფსიქიკაზეც მოახდენს გავლენას. ბედს მიენდეთ. ვერაფერს შეცვლით. **მშვილდოსანი** – თქვენი მომხიბვლელობის წყალობით მრავალი ადამიანის გულს მოინადირებთ. პირად ცხოვრებაში მოულოდნელი ცვლილებები მოხდება. **თხის რქა** – კეთილისმყოფელი პერიოდი გიდგათ. ახალი ინფორმაციის გამო, შესაძლოა, გეგმები შეგეცვალოთ. **მერწყული** – გიმახვილდებათ ინტუიცია. შეგიძლიათ, სამომავლო გეგმები თამამად დასახოთ. არ მოტყუვდებით. **თევზები** – სასიცოცხლო ენერგია გემატებათ. საკუთარი ძალების იმედი იქონიეთ. გაუფრთხილდით ოჯახურ ურთიერთობებს.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

თეატრმცოდნე თამარ ბოკუჩავას სიმსივნის დასამარცხებლად საზოგადოების დახმარება ესაჭიროება

ცნობილ ქართველ თეატრმცოდნეს, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორს, თეატრალური უნივერსიტეტის პროფესორს, თამარ ბოკუჩავას გასულ წელს დაუდგინდა მძიმე დიაგნოზი, ფილტვის ავთვისებიანი სიმსივნე. უკვე ერთი წელია, თამარი ამ დაავადებას ებრძვის. ოჯახის წევრები და მეგობრები მის გვერდით არიან, მაგრამ ამ ბრძოლაში უკვე საზოგადოების თანადგომაც არის საჭირო.

საბედნიეროდ, აღმოჩნდა ახალი თაობის წამალი „ტაგრისო". თამარ ბოკუჩავა პირველი პაციენტია საქართველოში, რომელსაც ქართველმა და უცხოელმა ექიმებმა აღნიშნული პრეპარატით მკურნალობა დაუნიშნეს. საქართველოში ეს პრეპარატი ჯერ არ იყიდება, შესაბამისად, თამარმა პრეპარატი უცხოეთში უნდა შეიძინოს, რაც საკმაოდ დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული. მკურნალობის მხოლოდ ერთი თვის კურსი 30 ათი 6000 დოლარზე მეტი ღირს. თამარს კი საკმაოდ ხანგრძლივი მკურნალობა ესაჭიროება, რომ საბოლოოდ დაამარცხოს მძიმე დაავადება. ოჯახის წევრების, ნათესავების, მეგობრებისა და კოლეგების დახმარებით თამარმა მკურნალობის ორი კურსი ჩაიტარა და დადებითი შედეგი სახეზეა.

„ტაგრისო" ერთადერთი პრეპარატია, რომლითაც თამარი ამ მძიმე სენის დამარცხებას შეძლებს. ოჯახმა კი ყველა შესაძლო ფინანსური რესურსი უკვე ამოწურა.

თამარ ბოკუჩავას დასახმარებლად თიბისი ბანკში სპეციალური ანგარიში გაიხსნა.

ნინი ქარსელაძე თავდასხმის ობიექტი გახდა

მომღერალი ნინი ქარსელაძე თავდასხმის ობიექტი მას შემდეგ გახდა, რაც ინგა გრიგოლიას გადაცემა „რეაქციაში" მივიდა და წინა ხელისუფლების ქმედებებს საუკეთესო სისხლისღვრა უწოდა.

ნიკა გვარამია დაინტერესდა, ნამდვილად იცის თუ არა ნინიმ წერა-კითხვა:

– ამ გოგომ წერა-კითხვა ნამდვილად იცის? აქამდე მხოლოდ ის ვიცოდით, რომ სიმღერა არ იცოდა.

ნინის ბევრი დამცველიც გამოუჩნდა, მათ შორის მომღერალი თიკა ჯამბურია, „ქუჩის ბიჭების" წევრი ზურა ხაჩიძე, ტელეწამყვანი ინგა გრიგოლია...

ზურა ხაჩიძე:

– ვაფრენ შენზე და მენატრები ძალიან, ნინი.?მალე შემოგიერთდები. მანამდე მინდა გთხოვო, რომ არ მიაქციო ყურადღება ამ წალკოტს ნეგატივის და შეურაცხყოფას. ეს ხო უსახური ფეიკებია, დაქირავებული კლავიატურის ვირთხები! მიყვარხარ და გკოცნი ბევრს სუფთა, სიყვარულით სავსე გულში. „რაც არ გვკლავს, გვაძლიერებს", „ესეც გაივლის", „მტრესა რათ უნდა" და ასე შემდეგ. რას დაუწერ იცი იმათ, ვინც შენ გულს გტკენს და ცუდს წერს, ღმერთმა შეგინდოთ და გაპატიოთ, რაც ამოგდით პირიდან... ნინი კი ჩემი გოგოა და რასაც აკეთებს, მე ხო ვიცი მისი გული, მისი სისუფთავე, ერთგულება და სიყვარული მისი ქვეყნის მიმართ. ნინის არაფერი აკლია, ისე, ცნობისათვის და წავიდოდა ნებისმიერი მიმართულებით. გფარავდეს წმინდა ნინო. ამინ.

თიკა ჯამბურია:

– ჩემო შეუცდომელო მეგობრებო, არავის არაფერი რომ არ შეგშლიათ ცხოვრებაში და უკიდეგანოდ განათლებულები რომ ხართ მათ საყურადღებოდ! ეს გოგო, რომელიც ძალიან მიყვარს, არის ჩემი ბავშვობის მეგობარი, ჩემი მეჯვარე და ნინას ნათლია! ცოტა ადამიანურობა გამოიჩინეთ და შეწყვიტეთ ეს მდაბიო საქციელები, საკუთარ თავთან შეგრცხვეთ, რომ ერთ სიფრიფანა გოგოს ბრბო ერევა. პოლიტიკოსები წავლენ და მოვლენ, მაგრამ ადამიანები ერთმანეთს უნდა გავუფრთხილდეთ... სიკეთე გაიმარჯვებს.

ინგა გრიგოლია:

– თვალს ვადევნებ ნინი ქარსელაძეზე არნახულ შეტევას. მართლა ფიქრობთ, რომ ნორმალურია ადამიანის ასეთი დაბუღინგება? მე ვფიქრობ, რომ საშინელებაა. ყველა ბრძენი როა ამ ქვეყანაზე და ყველა რომ ჭეშმარიტების სახელით ღაღადებს, ერთი თუ მეორე მხრიდან, ამას კარგა ხანია მივეჩვიეთ, მაგრამ სრულიად მიუღებელია ჩემთვის ასეთი აგრესია პატარა გოგოზე, რაც არ უნდა არ მოგწონდეთ მისი ნათქვამი. გაოგნებული ვარ, რასაც ვკითხულობ და ვხედავ.

თავად ნინიმ კი ასეთი კომენტარი გააკეთა:

– გული მწყდება ამ ყველაფერზე. რა რუსეთი, ჩვენ თვითონ ვჭამთ ქართველები ერთმანეთს. მე და ჩემი ოჯახი ვართ წინა ხელისუფლების მსხვერპლი და ყველაფერს გავაკეთებ, რომ ისინი ხელისუფლებაში არ დაბრუნდნენ.

პარიზის ვოგმა დემნა გვასალიას კედი საუკეთესოდ დაასახელა

პარიზის ვოგმა ქართველი დიზაინერის დემნა გვასალიას მიერ გაზაფხული-ზაფხულის 2019 წლის სეზონისთვის შექმნილი კედი საუკეთესოდ დაასახელა.

პარიზის ვოგის საიტზე უკვე გამოქვეყნდა მამაკაცებისთვის შექმნილი 27 საუკეთესო კედი, რომელიც დიზაინერებმა 2019 წლის გაზაფხული-ზაფხულის სეზონისთვის შექმნეს. ვოგმა პირველ ადგილზე ვეტმანის დამაარსებლის დემნა გვასალიას მიერ შექმნილი მოდელი დაასახელა.

„მხოლოდ ქართულის" მეორე სეზონი იწყება

5 ნოემბრიდან მუსიკალური მეგაშოუ „მხოლოდ ქართული" იწყება. მეორე სეზონის გადაცემები „რუსთავი 2"-ის ეთერში ორშაბათობით გავა.

პროექტი სავსეა ახალი კონკურსანტებითა და მუსიკალური ნომრებით. კონკურსანტებს შორის ცნობილი სახეებიც არიან.

შოუს წამყვანები ნიკა გრიგოლია და ილო ბეროშვილი არიან. ჟიურიც უცვლელია – მარინა ბერიძე, სოფო ნიჟარაძე და გიორგი უშიკიშვილი.

მუსიკალურმა შოუმ შესარჩევი ტურები რამდენიმე თვის წინ დაიწყო და მთელი საქართველო მოიარა, ახლა კი ტელემაყურებელთან შესახვედრად ემზადება.

ფიროსმანის ნახატი სოთბის აუქციონზე იყიდება

ნიკო ფიროსმანის ნახატი „ქართველი ქალი ლეჩაქით" სოთბის აუქციონზე გასაყიდად არის გატანილი.

ნიკალა ქართველ მხატვრად არის მოხსენიებული, მაგრამ ნახატი რუსული რუსული ხელოვნების ნიმუშადაა წარდგენილი.

გავრცელებული ინფორმაციით, ნიკო ფიროსმანის ეს ნახატი, არც მეტი, არ ნაკლები, შტეფან ცვაიგის საკუთრება ყოფილა.

სოთბის აუქციონზე გატანილი ქართველი მხატვრის ნამუშევარი 700.000 ფუნტ სტერლინგად არის შეფასებული.

ლაშა ბუღაძე: „მგონი, გულისრევით მოგვიწევს არჩევნების მეორე ტურზე მისვლა"

ასე მიაჩნია მწერალსა და დრამატურგ ლაშა ბუღაძეს და საკუთარ მოსაზრებას განმარტავს კიდეც:

– უკაცრავად და, მგონი, გულისრევით მოგვიწევს არჩევნების მეორე ტურზე მისვლა, მაგრამ მაინც უნდა მივიდეთ... ასეთი ნევროტული და მორალურად თვითმგვემი არჩევნები იშვიათად გვქონია, ისევ ჩვენ, საწყალი ქართველი ხალხი რომ ვეძებთ გამოსავალს და ისევ და ისევ ჩვენ რომ ვაწყობთ გამოსავლის რაციონალურ კონსტრუქციებს, სადაც მთავარი ისაა, რომ ივანიშვილის უგვანი და სახიფათო აბსოლუტიზმი შემცირდეს როგორმე...

საკუთარ თავს წესად ვუქციე ამ ავტოთერაპიული მანტრის გამეორება: „შენ წახვალ არჩევნებზე და ხმას მისცემ არა შემოთავაზებულ ულვაშებიან ეგზოტიკას, არამედ იმას, რომ იმორალურ ავტოკრატ-ოლიგარქს ძალაუფლების ერთი რგოლი მაინც გამოაცალო!"

რატი ამაღლობელი: „პოლიტიკა რაინდების ტურნირი არასდროს მგონებია"

პოეტი რატი ამაღლობელი დაინტერესდა, რატომ არ აქვთ ქცევის არანაირი სტანდარტი პოლიტიკოსებს:

– პოლიტიკა რაინდების ტურნირი არასდროს მგონებია, განსაკუთრებით ახლა და განსაკუთრებით საქართველოში, მაგრამ ასე ყველა ყველასთან და ასე ყველა ყველაფერს თუ იკადრებდა ამ „ტურნირზე" – ბოლომდე არ მეგონა.

ქცევის რაღაც მინიმალურ სტანდარტებს ხომ ვუყენებთ სპორტსმენებს, ექიმებს, საკუთარ თავს, საკუთარ შვილებს, მეგობრებს, ამ ხალხს რატომ არა აქვს არანაირი ამგვარი სტანდარტი, რატომ „გავათავისუფლეთ" ყოველგვარი სტანდარტისგან, წესისგან? რას დავამგვანეთ ეს „ჩვენნაირი" ხალხი, ჩვენნაირი პოლიტიკური კარიერის საწყისებთან მაინც, ჰოდა ახლა ვიყურებით საკუთარი სოციალური ცხოვრების ორად გახლეჩილ სარკეში და ზოგს გული გვერევა ამ ანარეკლებზე, ზოგი გულანთებული ვუივუივებთ, როცა ამ ანარეკლებში თვალს მოვკრავთ საკუთარ ჰალსტუხიან ეგოს და რა გინდა რო ქნა?

...„ოცნებას" არასდროს ჰქონია იდეები, როგორც თვითიდენტობის მამოძრავებელი ძალა, აღარაფერი რომ ვთქვათ იდეალებზე, ისინი მყარი და გარანტირებული ძალაუფლების გარეშე 1 საათიც ვერ გაძლებენ პოლიტიკურ ველზე. ამ ნაცრისფერმა, უმოტივაციო და უენერგიო „ძალამ" მეორე ტურამდეც შეიძლება ვერ მიაღწიოს. ასე რომ, მოსალოდნელია არა მარტო მეორე ტური, არამედ უახლოეს მომავალში – ვადამდელი საპარლამენტოც.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

კალეიდოსკოპი

მეთევზე ვეშაპს ზურგზე დანით შეახტა და ბადისგან გაათავისუფლა

ამერიკის კალიფორნიის შტატის სანაპიროსთან მეთევზეებმა გადაარჩინეს კუზიანი ვეშაპი, რომელიც ბადეში იყო გახლართული.

მათ ზღვის ცხოველი მაშინ შენიშნეს, როდესაც თევზაობის შემდეგ უკან ბრუნდებოდნენ. სანაპიროს დაცვის გამოძახების შემდეგ მეთევზეები საათ-ნახევარი ცდილობდნენ ვეშაპის გადარჩენას. მათ ბადე, რომელშიც ცხოველი იყო გახლართული, სამაგრიდან ჩახსნეს, თუმცა ამან შედეგი ვერ გამოიღო. თოკის მეორე ბოლო, რომელიც ვეშაპს კუდზე ჰქონდა შემოხვეული, ფსკერზე იყო დამაგრებული. ის ცხოველს ცურვაში ხელს უშლიდა და იძულებული იყო, ერთ ადგილზე ეტრიალა.

როდესაც სანაპირო დაცვამ გადმოსცა, რომ მათ ვერ დაეხმარებოდნენ, მეთევზეებმა გადაწყვიტეს, თავად ემოქმედათ. ერთ-ერთმა მათგანმა დანა კბილებით დაიჭირა და შეეცადა, ვეშაპს ზურგზე შეხტომოდა, თუმცა ეს მხოლოდ მესამე ცდაზე მოახერხა, ვინაიდან ხანდახან ვეშაპი წყლის სიღრმეში ჩადიოდა. მეთევზემ ვეშაპის კუდზე შემოხვეული თოკი გადაჭრა და ცხოველი გაათავისუფლა. სამაშველო ოპერაცია სამი საათი გრძელდებოდა.

ძაღლმა პატრონი თოფით დაჭრა



აშშ-ში ძაღლმა საკუთარი პატრონი ნადირობის დროს ცეცხლსასროლი იარაღიდან დაჭრა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

ინციდენტი ნიუ-მეხიკოს შტატის დონიანას ოლქში მოხდა. 74 წლის მონადირე სონი გილიგანი სატვირთო მანქანაში სამ ძაღლთან: ჩარლის, კოვბოისთან და სკუბისთან ერთად იჯდა. ცხოველები უკანა სავარძელზე იმყოფებოდნენ. იქვე იდო თოფიც. ჩარლიმ შემთხვევით გამოჰკრა თათი თოფის ჩახმახს. თოფმა გაისროლა, ტყვიამ მძღოლის სავარძელში გაიარა და მონადირეს ზურგში მოხვდა. მიუხედავად ძლიერი ტკივილისა, მან მაშველების გამოძახება შეძლო. მათ მამაკაცი დაუყოვნებლივ გადაიყვანეს საავადმყოფოში.

დაშავებულის შვილმა მარკმა აღნიშნა, რომ მაშველებს დროულად რომ არ აღმოეჩინათ დახმარება, მამამისი დაიღუპებოდა. მან განმარტა, რომ სონი კურდღლებზე სანადიროდ ხშირად დადიოდა ძაღლებით.

თავად დაშავებულმა კი მაშინვე განაცხადა, რომ ჩარლის აპატია და მის მიმართ წყენა გულში არ ჩაუდვია.

– ის თავის ძაღლებს ანებივრებს, მათ თავის ბიჭებს ეძახის, ცხოველები უზომოდ უყვარს, – აღნიშნა მარკმა.

რაც შეეხება თავად სონი გილიგანს, ექიმები მის მდგომარეობას სტაბილურად აფასებენ და რეანიმაციის განყოფილებიდან ჩვეულებრივ პალატაში გადაიყვანეს.

მამაკაცი სტუმრებს მძორით გაუმასპინძლდა

ამერიკის ვაშინგტონის შტატის ქალაქ მენატჩის მცხოვრებმა საკუთარი ოჯახის წევრები მანქანის დაჯახების შედეგად დაღუპული ცხოველების ხორცის ჭამას მიაჩვია. ის მათი ხორცით სტუმრებსაც უმასპინძლდებოდა.

47 წლის რეიფ კეროლი ამტკიცებს, რომ მამამისი ზოგჯერ მკვდარი ცხოველებისგან, რომლებსაც გზის პირას პოულობდა, საჭმელს ამზადებდა. მან ავტომობილის დაჯახების შედეგად დაღუპული ირმის ხორცი პირველად ათი წლის ასაკში გასინჯა. მრავალი წლის შემდეგ, როდესაც ფინანსური პრობლემები შეექმნა, მან გადაწყვიტა, მამის გზას დასდგომოდა.

– მაშინ ისეთ მდგომარეობაში ვიყავი, რომ უფასო საჭმელზე უარს ნამდვილად არ ვიტყოდი. – განაცხადა კეროლმა.

მას შემდეგ ის რეგულარულად კვებავს თავის ახლობლებს მკვდარი ირმის, ინდაურისა და სხვადასხვა ფრინველის ხორცით, რომლებსაც გზის პირას პოულობს. მისი თქმით, ერთი ირმისგან 30 კილოგრამამდე ხორცის მიღება შეიძლება, ხოლო მის ყველაზე დიდი მონაგარს მკვდარი დათვი წარმოადგენდა, რომელსაც სახლიდან კილომეტრ-ნახევარში გადააწყდა. მან ოჯახი 35 კილოგრამი ხორცით უზრუნველყო.

მამაკაცი ხორცის საუკეთესო ნაჭრებს სადღესასწაულო საუზმისთვის ინახავს. მაგალითად, შობის დღესასწაულისთვის ის ჩვეულებრივ ირმის რბილ ხორცს წვავს. კეროლის სტუმრების უმრავლესობამ არ იცის, რომ მათ მასპინძელი მძორით უმასპინძლდება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სამგლოვიარო განცხადებები

„ახალი თაობა" სამძიმარს უცხადებს ლალი და კობა ასლანიშვილებს ბებიის

შორენა ბაგრატიონი-ასლანიშვილის

გარდაცვალების გამო.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

5 ნოემბრისთვის

აშშ დოლარი — 2.7251	ევრო — 3.1194
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5505	100 რუსული რუბლი — 4.1504

ამინდის პროგნოზი 5 ნოემბრისთვის



პროფესიონალი მეძავი გაძარცვეს და სექსსათამაშოები წაართვეს

ნიუ იორკში პროფესიონალ მეძავს წაართვეს ჩანთა, რომელშიც მისი სამუშაოსთვის საჭირო ინსტრუმენტები ეწყო და რომელთა ფასი ოთხი ათას დოლარს შეადგენდა.

27 წლის ბარბარა შრეიერი ამტკიცებს, რომ ნიღბიანი შეიარაღებული მძარცველები სასტუმროს ნომერში შეიჭრნენ, სადაც ის კლიენტს უცდიდა. მათ გოგონას იატაკზე დაწოლა უბრძანეს და საიზოლაციო ლენტით შეკრეს, თუმცა მან თავის გათავისუფლება და ერთ-ერთი მძარცველისთვის დარტყმა მოახერხა, თუმცა საბოლოოდ მათ მაინც აჯობეს მეძავს.

მძარცველებმა შრეიერს სცემეს, წაართვეს ბანკის ბარათი და აიძულეს, მათთვის მისი პინ-კოდი ეთქვა. წასვლის წინ მათ გოგონას სურათი გადაუღეს და უთხრეს, რომ მათ მასზე თავდასხმისთვის გადაუხადეს. ბანკის ბარათის გარდა, მათ ასევე წაიღეს ჩანთა, რომელშიც სხვადასხვა მოწყობილობა ეწყო, ასევე გოგონას სამუშაო ჩასაცმელი და ტყავის ქამრები.

შრეიერი ამტკიცებს, რომ მისი კლიენტების უმეტესობა მაღალჩინოსანი ექიმები, მოსამართლეები და იურისტები არიან. ყოველ სეანსში მისი გასამრჯელო მინიმუმ ორი ათას დოლარს შეადგენდა. ასე რომ, ძარცვისა და ცემის შემდეგ მის გაცდენას გოგონასთვის მნიშვნელოვანი ზარალი მოაქვს. ის ეჭვობს, რომ მძარცველები ყოფილმა ნაცნობმა და კოლეგამ მიუგზავნა.

ზვიგენებმა ვეშაპი ხალხის თვალწინ დაგლიჯეს

მეთევზეებმა ვიდეოზე გადაიღეს ორი ზვიგენი, რომლებიც მკვდარი ვეშაპის ხორცს შეექცეოდნენ.

დაახლოებით 15 მეტრი სიგრძის ვეშაპის გვამი ზღვაში ამერიკის ვირჯინიის შტატის ქალაქ ვირჯინია-ბიჩიდან დაახლოებით 15 კილომეტრში შენიშნეს. მეთევზეებმა ზღვის ცხოველთან მიახლოების შემდეგ ორი მტაცებელი თევზი შენიშნეს, მათ შორის დიდი თეთრი ზვიგენი, რომლის სიგრძე დაახლოებით 3,5 ნახევარს აღწევდა.

– არ ყოფილა არანაირი აგრესია, თავდასხმა, – ყვება ერთ-ერთი გემის კაპიტანი, – ისინი ვეშაპის სხეულს მსხვილ ნაჭრებს აგლეჯდნენ და მის გარშემო დაცურავდნენ. უფრო დიდი ზვიგენი ცდილობდა, რომ მოზრდილი ნაჭრები ვეშაპის სხეულის იმ ნაწილისთვის მოეგლიჯა, რომელიც წყლის ზედაპირზე იმყოფებოდა.

მისი მტკიცებით, ასეთ რამეს ყოველდღე ვერ ნახავ. მეთევზეებს ეჭვი ეპარებათ, რომ ვეშაპის დაღუპვის მიზეზი ზვიგენები იყვნენ. მათი აზრით, შესაძლოა, ზღვის ცხოველი გემის ხრახნს გამოედო და ეს გახდა მისი დაღუპვის მიზეზი.

პითონი მძინარე ბავშვს მიეპარა და მისი ლეკვი გაგუდა

ავსტრალიის კვინსლენდის შტატის ქალაქ მაუნტ-კარბაინში პითონმა სახლში შეაღწია და მოკლა ლეკვი, რომელსაც ბავშვთან ერთად ეძინა.

ქვეწარმავლის თავდასხმა ღამით მოხდა. გველი ცხრა წლის ბიჭის დედამ აღმოაჩინა, რომლის ყურადღება უცნაურმა ხმაურმა მიიპყრო. ქალმა შუქი აანთო და თავისი მძინარე შვილის გვერდით ოთხმეტრიანი პითონი დაინახა. ის ლეკვის გადაყლაპვას ცდილობდა.

ქალმა არ იცოდა, რა მოემოქმედებინა და მეზობელს დაუძახა. მეზობელი მაჩეტეს მსგავსი დიდი შაქრის ჭარხლის საჭრელი დანით მივიდა, მისი დახმარებით პითონი ასწია, ბავშვს მოაშორა და მერე მოკლა. მისი თქმით, ეს იმიტომ გააკეთა, რომ ქვეწარმავალი მეტად დიდი ზომის იყო.

სავარაუდოდ, რეპტილია სახლში ღიად დატოვებული კარიდან შევიდა, მიცურდა მძინარე ბავშვის საწოლთან, სადაც მისი საყვარელი ტოი-პუდელის ლეკვსაც ეძინა და შინაური ცხოველი გაგუდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იუმორი

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– აბა, თუ მეტყვი, რა მსგავსებაა ჯანმრთელ ძაღლსა და ახლომხედველ გინეკოლოგს შორის?

– სველი ცხვირი.

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:

– წამოდი, საწოლში, ძვირფასო, სექსით დავკავდეთ.

– მიდი, შენ დაიწყე და მეც მალე მოვალ.

●●●

რუსს ეკითხებიან:

– რა მოხდება, თუ უცბად რუსეთიდან მთელი არაყი გაქრება?

– ბუნებაში უკვალოდ არაფერი იკარგება. თუ რუსეთში უცბად არაყი გაქრება, ეს იმას ნიშნავს, რომ ის სადღაც სხვაგან გაჩნდება და, სადაც არაყი გაჩნდება, იქ იქნება რუსეთიც...

●●●

პატარა ბავშვი ოთახებში დარბის, თაროებიდან წიგნებს ძირს ყრის, კარადიდან ტანსაცმელს ისვრის, სკამებს ატრიალებს. ძიძა ეკითხება:

– გიგი, რას აკეთებ?

– ვთამაშობ.

– რას თამაშობ?

– „შენი დედა... სადაა მანქანის გასაღები?!!!“

●●●

ბავშვი ქუჩაში ტირის. გამვლელი მამაკაცი ეუბნება:

– არ გრცხვენია, ასეთი დიდი ხარ და ტირი!

– წადი, შენი დედა...

– ასეთი პატარა ხარ და უკვე იგინები:

– ბიძია, შენი ვერ გამიგია რა, ხან დიდი ხარო, ხან პატარაო...

●●●

უფლისწული მიდის და მიადგება გზაგასაყარს, ქვაზე კი აწერია:

– მარჯვნივ წახვალ, დედა გეტირება, მარცხნივ წახვალ, დედა გეტირება.

დაჯდა და ფიქრობს, რა გზას დაადგეს. ამ დროს ზევიდან ესმის:

– ჩქარა გადაწყვიტე, თორემ დედა აქვე გეტირება!

●●●

ზოოპარკში დედა შვილს აფრთხილებს:

– ზურიკო, ლომს არ მიეკარო, რწყილები არ ჰყავდეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

BOAI

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

– გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
– ნერვული სისტემა, ხერხემალი, სახსრები
– კანის დაავადებები
– უროლოგია
– გინეკოლოგია

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12
10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.

TRADE MARK
安神補心丸
ANSHEN BUXIN WAN
300PILLS

ანშენი ბუსინ ვან
უძილობა, არითმია, თავბრუსხვევა, ყურში შუილი, ნერვული გადაღლილობა

TRADE MARK
XIAO HUO LUO DAN
香港中成藥注冊編號：HKP-01423
200 PILLS

სიაო ჰუო ლუო დან
რევმატიზმი, სახსრების ტკივილი, მთლიანი სხეულის გამაჯანსაღებელი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12. 10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.

ქურდებმა, აკრობატებმა და ძალოსნებმა ბანდა შექმნეს და 10 მილიონი დოლარი გაიტაცეს

აშშ-ში დააპატიმრეს ბანდის მეთაური და მისი ორი წევრი, რომლებმაც მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაში ბანკებიდან და საიუველირო მაღაზიებიდან 10 მილიონი დოლარის თანხა და ძვირფასეულობა გაიტაცეს.

დამირ პეიჩინოვიჩი, მეტსახელად კოკო, ეჭვმიტანილია დანაშაულებრივი თანამეგობრობის ჩამოყალიბებაში. რომლის ანგარიშზე 16 ძარცვაა ნიუ იორკში, ლოს-ანჯელესში, პორტლენდში, კანზას-სიტიში, ბეverლი-ჰილზსა და მაინის ფრანკფურტში. ბანდას ერქვა „პეიჩინოვიჩის საწარმო“ ან უბრალოდ „საწარმო“.

სასამართლო საბუთებში ნახსენებია მისი თანამზრახველები: ელვის სირიკოვიჩი, მეტსახელად გორილა, ადრიან პისეკუ და გზიმი ბოიკოვიჩი, მეტსახელად ჯიმი.

აუცილებლობის შემთხვევაში პეიჩინოვიჩი საქმეში სხვა სპეციალისტებსაც რთავდა. მას საქმეზე აჰყავდა პირები, რომლებსაც აკრობატული მომზადება ჰქონდათ გავლილი. მათ მოვალეობას შენობაში სახურავიდან შეღწევა წარმოადგენდა. მისი ელექტრიკოსები ახშობდნენ ფიჭურ კავშირგაბმულობას, თიშავდნენ სიგნალიზაციასა და კავშირგაბმულობის ხაზებს, რომლებიც დაცვის სამსახურს უკავშირდებოდა. ბანდის ზოგიერთი წევრი შთამბეჭდავი ძალით გამოირჩეოდა. ისინი კედლებს ურობითა და პნევმატური ჩაქუჩებით ამტვრევდნენ.

„წარმოებამ“ მოღვაწეობა 2006 წელს დაიწყო. 2008 წელს პეიჩინოვიჩმა და მისმა თანამზრახველებმა 2,5 მილიონი დოლარის ძვირფასეულობა გაიტაცეს ნიუ-იორკის საიუველირო მაღაზიიდან. უკანასკნელი მსხვილი ქურდობები მათი მონაწილეობით 2016 წლის დეკემბერში ნიუ იორკში და 2017 წლის მარტში ლოს-ანჯელესში მოხდა. ორივე შემთხვევაში მიყენებული ზარალის თანხამ ორი მილიონი დოლარი შეადგინა.

დაპატიმრების შემდეგ პეიჩინოვიჩს აღმოუჩინეს იმის დამადასტურებელი მტკიცებულებები, რომ ის მონაცემებს აგროვებდა ბელგიასა და შვეიცარიაში ალმასებით მოვაჭრეებსა და ასევე ოჰაიოს შტატში მდებარე საიუველირო სახელოსნოზე. ის ასევე არკვევდა რადიოსიხშირეებს, რომლითაც ამსტერდამის პოლიცია სარგებლობს. ყველა დაკავებული საკუთარ დანაშაულს უარყოფს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი



თარაზულად: 6. ერთგვარი დახურული ეტლი; 7. პატარა მტაცებელი ცხოველი; 8. გარკვეულ გეოგრაფიულ არეში გავრცელებული მცენარე ან ცხოველი; 10. შროშანისებრთა ოჯახის შხამიანი მცენარე; 11. ქალურ დაავადებათა ექიმი; 13. ქიმიური ელემენტი; 16. სხვადასხვა სიმღერის მოტივებისგან შედგენილი მუსიკალური ნაწარმოები; 19. პირი, რომელიც არცერთი ქვეყნის მოქალაქედ არ ითვლება; 20. ყურცქვიტა.

შვეულად: 1. ქართველი მწერალი; 2. კურკოვანი ხილი; 3. საავტომობილო სპორტის სახეობა; 4. ხვიარა მცენარეების წვეროების ბრუნვითი მოძრაობა; 5. ავსტრალიური ყურძნის ჯიში; 9. საწერ–...; 12. ურჩხული; 14. პროსპექტი, ფართო ქუჩა (აშშ-ში); 15 ჭრილობა; 17. დიდი შალაშინი; 18. ინდოელი ქალის კაბა.

შეადგინა ოლივერ კოხიამ